მესაკუთრე

№ 1
ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 13-16 დეკემბერი | 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



"კოოპერაცია სახელმწიფოს ერთგული პარტნიორი უნდა იყოს"

12 დეკემბერს სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელზეც ერთ-ერთ საკითხად გამოტანილი იქნა საქართველოს კანონპროექტი "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ". მოხსენებით გამოვიდა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გიორგი ქათამაძე**. მან განაცხადა, რომ:

"სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" კანონი ამ ერთ-ერთი დიდი სისტემის მუშაობისათვის და საქმიანობისათვის აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც მისი სამომავლო ფუნქციონირებისათვის ძირითადი საფუძველი გახდება.

უკანასკნელი შვიდი თვის მანძილზე სარედაქციო ჯგუფის მიერ, რომელმაც აღნიშნული პროექტი მოამზადა, გაწეული იყო ძალიან დიდი სამუშაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტზე იმუშავეს უცხოეთის სახელმწიფოებიდან მოწვეულმა ექსპერტებმაც. მათ შორის საერთაშორისო კოოპერაციის ალიანსის წარმომადგენლებმა, საერთაშორისო ორგანიზაცია "ტასისის" წარმომადგენლებმა, დსთ-ს ქვეყნების სპეციალისტებმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებ-

(დასასრული მე-2-3 გვ.)

დიდ ქონებას სამინისტრო მცირე შტატებით მართავს

ოთხშაბათს ქონების მართვის სამინისტროში ტრადიციული პრესის დღე გაიმართა, რომელსაც მინისტრის მოადგილე გურამ დიდბარიძე უძღვებოდა. აღინიშნა, რომ სამინისტროს მიერ შესწავლილი იქნა და მომზადებულია საკითხი კოლეგიაზე გასატანად "საქჰიდროენერგომშენის" ქუთაისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანასთან არსებული კოოპერატივ "ლარიქსის" მიერ ქონების შესყიდვის კანონიერების შესახებ.

მომზადდა და დამტკიცდა სამინისტროს სათანადო ბრძანება 1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ, პროგნოზი წლის ბოლომდე შემოსასვლელი თანხების შესახებ.

მომზადდა სამინისტროს რეორგანიზების კომისიის საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, სამინისტროს სათანადო ბრძანება მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამშენებლო სარემონტო -ტრესტების რეორგანიზებისა და პრივატიზების შესახებ.

მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პროგრამის პროექტის მიმართ დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოთქმული შენიშვნების დამუშავება.

დარგობრივ და ეკონომიკის სამინისტროებში დაიგზავნა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადასაცემად ობიექტების შესახებ წერილები (რაიონები: აბაშა, თერჯოლა, გარდაბანი, თელავი, ჭიათურა და საჩხერე).

სამინისტროს მიერ მომზადებულია სამი ბრძანება:

სააქციონერო საზოგადოებების "სამტრედიის №2 საკონსერვო ქარხნის" და "ფეიქარის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლებით სამტრედიის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებაზე გადაცემის შესახებ.

სააქციონერო საზოგადოებების "აფენის" ღვინის ქარხნისა და "ზაისუბნის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლებით ლაგოდეხის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებაზე გადაცემის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს 1996 წლის 15 ნოემბრის სხდომის მე-9 საოქმო დადგენილების შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. მომზადდა ბრძანება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კომისია საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ამჟამად სააქციო საზოგადოება "ჩიორას" პრივატიზების კანონიერების შემოწმების მიზნით.

მომზადდა ინფორმაცია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამახსოვრო ბარათით გათვალისწინებული დავალების შესრულების შესახებ.

სამინისტროში შედგა შეხვედრა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პასუხისმგებელ პირებთან. შეხვედრაზე განხილული იქნა საკითხი პურპროდუქტების კორპორაციის სისტემის წარმოების პრივატიზების მიმდინარეობის შესახებ. დადგინდა, რომ უნდა გადაიხედოს იმ საწარმოთა სია, რომელთა აქციათა 51% რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, დაისახა მომავალ წელს პრივატიზების სტრატეგიული მიმართულებანი.

(დასასრული მე-2 გვ.)

პაატა კოღუაშვილი:

„აგრარული მეურნეობის განვითარების სტრატეგია სამ ძირითად კულტურაზე უნდა აიგოს“

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე გაცნობეთ, რომ ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა "საქართველოს საგადასახადო კოდექსი". ამ საკითხზე თავის აზრს გვიზიარებს მთავარი სახელმწიფოს მრჩეველი აგრარული რეფორმის დარგში **პაატა კოღუაშვილი.**

- თქვენ ის პიროვნება ხართ, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ძველი საგადასახადო კანონის შექმნაში. ამიტომ ახლის თაობაზე გარკვეული მოსაზრებები და შენიშვნები უთუოდ გექნებათ.

- წინა კანონი, რომელიც 1993 წელს მივიღეთ, იყო პირველი მცდელობა ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხის რეგულირების და ამდენად, ის არ იყო დაზღვეული იმისაგან, რომ ის ყველაფერს მოიცავდა. ახალი კოდექსი, შეიძლება ითქვას, უფრო სისტემატიზირებულია. არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ის კანონები, რომელსაც პარლამენტი ცალკე ღებულობს (მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ), უნდა იყოს ასახული ამ კოდექსში. ე.ი. კოდექსის მუხლი არ უნდა განსხვავდებოდეს ცალკე მიღებული დღგ-ს კანონისაგან.

- კოდექსის პროექტში გარკვეულწილად ჩვენი მეწარმეების მოთხოვნებიცაა დაკმაყოფილებული.

- მეწარმეები აყენებდნენ საკითხს ადგილობრივი აქციზების შემცირების შესახებ და ეს ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ადრე სსფ ჩვენ გვეუბნებოდა, შიდა ბაზარი საბაჟო გადასახადებით დაგვერეგულირებინა. გარკვეული შეღავათები ადგილობრივ მეწარმეებს უნდა მიეცეთ, რადგან მოკლებულები არიან კრედიტებს, რესურსებს და დგას კვლავწარმოების პრობლემა.

- კი მაგრამ, ბაზარი ხარისხით უნდა დაიპყრო და არა სახელმწიფო კრედიტებითა და შეღავათებით. თქვენ თვლით, რომ სსფ-მ შეცვალა გადაწყვეტილება?

- ახლა სავალუტო ფონდი უშუალოდ საბაჟო გადასახადებით ამ საკითხის რეგულირების წინააღმდეგ წავიდა. ფაქტიურად, ჩვენ მივიღეთ შემცირებული გადასახადების ბაზა, მაგრამ პროპორციები იგივე დარჩა. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი უფრო უკეთ უნდა გაგვეხილა და ამ საკითხზე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან დიდი დავა უნდა გამართულიყო. სხვაგვარად ჩვენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს ვერ დავიცავთ.

- საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გადასახადების დაწესებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

- მინდა ვთქვა, რომ დოკუმენტი ამ მხრივ კარგია, მაგრამ საჭიროა გარკვეული კორექტივების შეტანა. ჩვენს ქვეყანაში 12 სხვადასხვა ხარისხის მიწა არსებობს და ახალი სამსახურის (მიწების მართვის ერთიანი სამსახური) უმთავრესი ფუნქციაა სწორედ მიწების რეგისტრაცია, მიწების შეფასება და დღეს არ უნდა მოხდეს იგივე, რაც სახელმწიფოს მეთაურის წინა ბრძანების ნაკლი იყო. ჩვენ მოცემული გვქონდა სამი ტიპის ნიადაგი - (კარგი, საშუალო და მწირი) და გლეხებს საშუალო გადასახადს ვახდევინებდით. ეს იყო უკმაყოფილების მთავარი მიზეზი. აქაც საჭიროა ეს საკითხი უფრო გამოიკვეთოს. გათვალისწინებული უნდა იქნეს ნიადაგის ხარისხობრივი და ნაყოფიერების კოეფიციენტი. სხვადასხვა ნიადაგის მფლობელი არ უნდა იხდიდეს გასაშუალებულ გადასახადს.

- ალბათ საჭიროა ზოგიერთ დარგს და კულტურას გარკვეული პრიორიტეტი მიენიჭოს.

- მართალია. საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების საფუძველი, სტრატეგია და ტაქტიკა სამ ძირითად კულტურაზე უნდა აიგოს. ეს არის მარცვალი, ვენახი და ჩაი. მარცვალი ერთწლოვანი კულტურაა და სხვა მიდგომაა საჭირო. რაც შეეხება

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომერში:

«პორტო-ფრანკო» უბაჟო ქალაქია
გვ.3

ხელშეუხებლობა გნებავთ? - კი ბატონო, ინებეთ!
გვ.4

ჭრელი ამბების დასტა
გვ.6

ჩრდილში მყოფი პრეზიდენტობის კანდიდატი
გვ.7

არჩევანი მე, არადანი - შენ
გვ.8

ნომერში:

პაატა კოღუაშვილი:

„აგრარული მეურნეობის განვითარების სტრატეგია საქ ძირითად კულტურაზე უნდა აიგოს“

(დასასრული)

ვენახსა და ჩაის, აქ მიწის გადასახადი ცოტა სხვაგვარი უნდა იყოს.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- ესენი უპირველესად მრავალწლიანი კულტურებია. ახალგაშენებული ვაზი, ხეხილი, კაკლოვანი, ჩაი და ციტრუსები განთავისუფლებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადასახადისაგან, მათი სრული მსხმოიარობის დაწყებამდე.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აგრარული წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით მრავალწლიანი ნარგაობით დაკავებული ნაკვეთები მოსავლიან ასაკში შესვლამდე თავისუფლდებიან გადასახადებისაგან. მაგ. აშშ-ის კალიფორნიის შტატის კონსტიტუციის XII მუხლით "გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდნენ ხეხილი და კაკლოვანი ჯიშის ხეები ბაღში დარგვიდან ოთხი წლის განმავლობაში და ვაზი გაშენებიდან სამი წლის განმავლობაში".

ამდენად, პროექტის კარი IX, თავი 26, მუხლი 242. საგადასახადო შეღავათები - ცალკე პუნქტით უნდა დაემატოს: "ახალშენი მრავალწლიანი ნარგაობით (ხეხილი, ჩაი, ციტრუსი, კაკლოვანი, ტექნიკური კულტურები) დაკავებული ფართობები გაშენებიდან 4 წლის, ვაზი გაშენებიდან სამი წლის განმავლობაში".

მუხლი 242, პუნქტი გ)-ში გამორჩენილია მეცხოველეობის ჯიშთსაშენები და საშენე სადგურები, რომლებიც იგივე ფუნქციებს ასრულებენ, რასაც მემცენარეობაში ჯიშთსაცდელი სადგურები და ნაკვეთები, ამიტომ აღნიშნული პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "გ) სასპორტო გამაჯანსაღებელი კომპლექსები, აგრეთვე ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო პროფილის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ექსპერიმენტული მეურნეობების საცდელი, მემცენარეობისა და მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშთსაშენები, ჯიშთსაცდელი, სანაშენე სადგურები და ნაკვეთები".

ვინაიდან 15 ოქტომბრისათვის მოსავალი აღებული არაა, გადამხდელებს, არც შემოსავალი გააჩნიათ.

მიაქციეთ ყურადღება, ახალდარგული ვაზი ყურძენს არ იძლევა და ამიტომ მისი გაყიდვით მიღებული შემოსავალი ბუნებრივია, არ არსებობს. ამიტომ გლეხს არ შეიძლება იმაში გადაახდევინო ფული, რისგანაც ის შემოსავალს არ იღებს. აქ არ არის საუბარი სრულ განთავისუფლებაზე, როგორც კი კულტურა ნაყოფს გამოიღებს, მიწის დაბეგვრა ჩვეულებრივ განხორციელდება.

ეს არის ახალი კოდექსის ერთ-ერთი ნაკლი. დღეს მქონდა ცალკე საუბარი ბატონ თემურ ბასილიასთან, ფინანსთა მინისტრთან და საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელთან და ეს საკითხი ალბათ მონახავს ასახვას იმ ნაწილში, რომელიც მიწის გადასახადს ეხება.

მუხლი 245. გადასახადის გადახდის და ამოღების მექანიზმი. პუნქტი 4 უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "გადასახადის გადახდის ვადა იურიდიული პირებისათვის საანგარიშო წლის 15 აგვისტო და 15 ნოემბერი, ხოლო ფიზიკური პირებისათვის 1 დეკემბერი" ან ორივე კატეგორიისათვის 1 დეკემბერი. რაც შეეხება აქციზურ გადასახადს სიგარეტზე, იგი პროექტის I ვარიანტში დიფერენცირებული იყო ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებად, რაც მეთოდურად არასწორია, ამიტომ ექსპერტებმა ერთი გადასახადი დააწესეს (55%). საერთაშორისო პრაქტიკაში სიგარეტზე აქციზი დაწესებულია კლასების მიხედვით. უმჯობესი იქნებოდა შემდეგნაირად: III-IV კლასი - 20%, I-II და უმაღლესი კლასი - 55 ან 60%.

საქართველო III, IV და II კლასის სიგარეტების მწარმოებელია.

- სხვა შენიშვნა თუ გაქვთ.

- არის კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი. წინა კანონის მოგების გადასახადი ზოგიერთი დარგის საწარმოებისთვის (მაგ.სამშენებლო) იყო 10%. ამჟამად ყველასათვის 20%-ია. მაგრამ ეს არ არის დიდი ტრაგედია. ქვეყანა ეკონომიკურად ასე თუ ისე, წელში გაიმართა და ორგანიზაციებს შესწევთ უნარი, ასეთი გადასახადი გადაიხადონ. გულდასაწყვეტი ისაა, რომ ასეთ ორგანიზაციებს შეეძლოთ თავისი მოგების 10% მიეცათ საქველმოქმედო საზოგადოებებისათვის, რომლებიც შემდეგ ამ ფულს ისევ და ისევ ქართველ ხალხს მოახმარდნენ. იგივე 10%-ით მცირდებოდა ეს გადასახადი. ახლა ეს კოდექსიდან ამოღებულია.

მე მიმაჩნია, რომ ამ მუხლის დატოვება აუცილებელი იყო. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეს დაშვებულია. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი ბევრ რამეს ვერ წვდება. არის ძალიან კარგი წამოწყებები და ქველმოქმედება ასეთ სიტუაციაში აუცილებელი იყო.

- იმ ფაქტზე რას იტყვით, როცა ფინანსთა მინისტრმა აქციზების ძველი, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციამდე მიღებული ვარიანტი შესთავაზა პრეზიდენტს. კოდექსის ამ სახით მიღების შემთხვევაში ხომ ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი ქართული ბაზარი საერთოდ დაუცველი დარჩებოდა. მკაცრი პრინციპების მქონე სავალუტო ფონდის დათანხმება ხალხმა შესძლო, კოდექსში კი ეს არ აისახა.

- მე მგონია, რომ ეს შემთხვევითი იყო და წინასწარი განზრახვა ფინანსთა მინისტრს არ ამოძრავებდა.

ესაუბრა
გიორგი მანჯგალაძე.

"კოოპერაცია სახელმწიფოს

(დასასრული)

მა, ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა და ბევრმა სხვა ადამიანმა, რომლებსაც აღნიშნულ პროცესში ჩართვა ვთხოვეთ".

ბატონი გიორგის განმარტებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საკავშირო კოოპერაციის კანონის გარდა, საქართველოს ამ სფეროში სხვა კანონი არასოდეს ჰქონია. მსგავსი კანონები დსთ-ს ყველა ქვეყანას და ბალტიისპირეთს ჯერ კიდევ 1991-1995 წლებში აქვთ მიღებული.

როგორც გაირკვა, სისტემა დღემდე სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 27 დეკემბრის 270-ე ბრძანებულების (საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ) საფუძველზე მუშაობს.

გამგეობის თავმჯდომარემ ამაყად აღნიშნა, რომ:

"საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, თავისი არსებობის 125 წლის მანძილზე დიდი როლი შეასრულა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და დამკვიდრების საქმეში. კარგადაა ცნობილი კოოპერაციის როლი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. იგი თავისი სავაჭრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, საშენებლო, სოციალური დანიშნულებისა და სხვა ობიექტების მეშვეობით ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს უწევს მომსახურებას.

საქართველოში ბოლო დროს ეკონომიკისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში განხორციელებულმა ღონისძიებებმა სამომხმარებლო კოოპერაციის აღორძინების, მისი პოტენციალის ამოქმედების, საგარეო ეკონომიკური კავშირების აღდგენის და უცხოელი ინვესტორების მიზიდვისათვის კარგი პირობები შექმნა.

ყოველივე ამას საქართველოს მხრიდან მხარდაჭერა და სამართლებრივი ბაზის შექმნა ესაჭიროება. ცეკავშირის გამგეობამ ეს კანონპროექტი საერთაშორისო კოოპერაციულ პრინციპებზე დაყრდნობით და კოოპერაციული მოთხოვნების დაცვით მოამზადა.

პროექტი განვიხილეთ გამგეობის საბჭოს სხდომაზე, დადებითი დასკვნა გააკეთა საერთაშორისო კოოპერაციულმა საბჭომ "ტასისმა" და საქართველოს ცნობილმა იურისტებმა და ეკონომისტებმა.

"სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" კანონპროექტი შედგება 10 თავისა და 22 მუხლისაგან. ახლავს გამოყენებული ძირითადი ცნებების განსაზღვრებანი, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

განსაზღვრულია სამომხმარებლო კოოპერაციის არსი, მიზანი, და საქმიანობის საგანი. აღნიშნულია, რომ სამომხმარებლო კოოპერატივი არის მრავალდარგობრივ-კოოპერატივი, რომელიც მოიცავს, როგორც ბაღჩეულ და სასოფლო-სავაჭრობას, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციას, სახალხო მოხმარების საგნების წარმოებას და ა. შ. სამომხმარებლო კოოპერატივებისა და მათი კავშირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის კოოპერატივი.

გოგი ქათამაძის მიერ შემოთავაზებული სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები მეტად ორიგინალურია და რთული წინადადების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი თქმით:

"სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა ემყარება წევრების ნებაყოფლობითობის, დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის, ურთიერთპასუხისმგებლობის, საბაზრო ურთიერთობის პირობებში თავისუფალი სამეურნეო ფუნქციონირების პრინციპებს მიუხედავად წევრთა ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური მრწამსისა".

კანონპროექტის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნაწილია მეოთხე თავი, სადაც დაფიქსირებულია, რომ კოოპერაციული საკუთრება არის კერძო და შედგება კოოპერატივების, კავშირების, მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებისაგან. მეპაიეს აქვს თავისი წილი საკუთრებაში.

დიდ ქონებას სამინისტრო მცირე შტატებით მართავს

(დასასრული)

სამინისტროს წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი სააქციო საზოგადოება "კავკასელექტრომშენის" მიერ. სამინისტრომ თავისდროზე შეისწავლა "კავკასელექტრომშენის" კოლექტიურ საწარმოდ გარდაქმნისა და მისთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტი. დავა მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ "კავკასელექტრომშენი" წარმოადგენდა საკავშირო დაქვემდებარების ობიექტს და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დადგა საკითხი მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით არსებობს პროკურატურის დასკვნაც.

მიმდინარეობს სააქციო საზოგადოება "ბავშვთა სამყაროს" პრივატიზების კანონიერების შესწავლა. სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, ობიექტი არასწორადაა შეფასებული და მისი საწესდებო კაპიტალი ექვემდებარება გაზრდას. გარდა ამისა, მთავრდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და კოოპერატივ "წიდას" შორის არსებული დავის განხილვა. შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელშიც შედიან იუსტიციის, ეკონომიკისა და სახელმწიფო ქონების მართვის წარმომადგენლები.

უზენაესმა სასამართლომ განიხილა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოქალაქე ქვათაძის სარჩელის გამო. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა სამინისტროს სარჩელი.

შეჯამდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა №2 სპეციალიზებული აუქციონის შედეგები. განაცხადები შემოსული შვიდი სააქციონერო საზოგადოების აქციებზე, აქედან ერთი განაცხადი შესულია გორის ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოში. საერთო ჯამში შემოსული თანხა შეადგენს 575516 ლარს.

მიმდინარეობს №3 სპეციალიზებული აუქციონის შედეგების შეჯამება. 10 დეკემბერს დამთავრდა განაცხადების მიღება №4 სპეციალიზებულ აუქციონზე და სამინისტროში შემოსულია რვა განაცხადი.

გრძელდება №5 სპეციალიზებული აუქციონის მიმდინარეობა.

მიმდინარეობს იმ საწარმოთა ნუსხის მომზადება, რომელიც მართვის უფლებით გადაეცემათ ტერიტორიულ ორგანოებს. უკვე მომზადებულია აქციათა გადაცემის ხელშეკრულებები მშენებლობის, ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტროებისა და ჰოლდინგური კომპანიების "სამთოქიმიისა" და "საქნავთობპროდუქციისათვის" აქციათა გადაცემაზე.

გაიმართა ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენელმა. კოლეგიაზე განიხილებოდა საკითხი საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 17 აგვისტოს №541 ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. კოლეგიაზე მიღებული იქნა სხვა სამინისტროებთან შეთანხმებული წინადადება საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის, როგორც აღმასრულებელი მართვის ორგანოს და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, როგორც სამეურნეო სუბიექტის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში ქონების გამიჯვნისა და სააქციონერო საზოგადოების, ხოლო ჰიდრონაგებობისა და ბრძანებულებით გათვალისწინებული სხვა ქონების ბაზაზე სახაზინო საწარმოების დაფუძნების შესახებ.

დაფუძნდა "საქენერგოგენერაციის" სისტემაში შემავალი თბილსრესი სააქციონერო საზოგადოება. მისი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დაახლოებით 190 მილიონი დოლარის ექვივალენტურად ეროვნულ ვალუტაში.

საქართველოში მეაბრეშუმეობის შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №636 ბრძანებულების შესაბამისად მეაბრეშუმეობის საწარმოო გაერთიანების ბაზაზე დაფუძნდა საზოგადოება "საქაბრეშუმი".

სამინისტროს ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მათ მიერ მომავალში გაწეული მუშაობაც ხარისხიანი და ეფექტური იქნება.

ბატონი გურამის თქმით, სამინისტროს სამართავად საკმაოდ დიდი ქონება აქვს და ცოტა არ იყოს, ჭირს მცირერიცხოვანი შტატებით ამ საქმის კეთება. როგორც გაირკვა, მთელს აპარატში შტატში 77 კაცია. აღინიშნა, რომ საქართველოს სამინისტროებს შორის ქონების მართვის სამინისტრო ამ მხრივ რეკორდსმენია.

იმედია, რეკორდების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება და უშუალოდ მუშაობის პროცესებს შეეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ერთგული პარტნიორი უნდა იყოს"

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულება სრულიად ახალი მიდგომაა კოოპერაციული საკუთრების მიმართ პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, დსთ-ს ქვეყნებში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ მიღებულ კანონებში არაა აშკარა მინიშნება კოოპერაციული საკუთრების კერძოდ გამოცხადების შესახებ. იქ საუბარია საზოგადოებრივზე, კოლექტიურზე და ა. შ.

"ჩვენი მიდგომა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობითაა განპირობებული და სავსებით შეესაბამება საერთაშორისო კოოპერაციულ პრინციპებს და საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, "საკუთრების უფლების შესახებ" კანონს - განაცხადა ბატონმა გიორგიმ.

პროექტში მოცემულია სამომხმარებლო კოოპერაციის საკუთრების დაყოფა განუყოფელ და გასაყოფ-გასანაწილებელ ნაწილებად, ფონდებად. ასეთი დებულება სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების კანონმდებლობაში მოცემული არ არის.

მნიშვნელოვანია სამომხმარებლო კოოპერატივის საკუთრების სამართლებრივი დაცვის საკითხები. აღნიშნულია, რომ სამომხმარებლო კოოპერატივის საკუთრება ხელშეუხებელია და მას იცავს სახელმწიფო. არ შეიძლება კოოპერაციული ორგანიზაციებიდან შენობების, ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის, ფულადი სახსრების ჩამორთმევა და გასხვისება. ასეთი ქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი კოოპერაციული ორგანიზაციების მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით და თანხმობით.

კანონში ამ დებულების დაფიქსირებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამომხმარებლო კოოპერაციის საკუთრების შესანარჩუნებლად და უახლოეს წარსულში დაშვებული ნეგატიური მოვლენების გამოსასწორებლად.

კანონპროექტში დაფიქსირებულია კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპი. სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საწარმოებს თავიანთ საქმიანობაში ენიჭებათ სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მეპაიეთა და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, კოოპერატივები და მათი კავშირები ქმნიან სავაჭრო, საწარმოო, დამამზადებელ, შემსყიდველ, სატრანსპორტო და მომსახურების სხვა ობიექტებს. მიიზიდავენ მეპაიეთა, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თავისუფალ სახსრებს, ქმნიან საფინანსო-საანგარიშსწორებო ცენტრებს, სავაჭრო სახლებს, საპენსიო, სარეზერვო და სხვა ფონდებს, კომერციულ შემნახველ ბანკებს, მათ ფილიალებს, ბირჟებს, სადაზღვევო საზოგადოებებს. მონაწილეობას იღებენ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციონერო საზოგადოებების, კონცერნების, კონსორციუმების დაფუძნებაში და მის საქმიანობაში.

განხილულია სამომხმარებლო კოოპერაციის შემოსავლების, გადასახადების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის მექანიზმი, ფასებისა და ტარიფების განსაზღვრის, შრომითი ურთიერთობების წესი, კადრების მომზადების სისტემა და ა. შ.

საინტერესო ნაწილია სამომხმარებლო კოოპერაციის სოციალური საქმიანობა. აღნიშნულია, რომ კოოპერაციის ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში. ხაზგასმულია, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ გარდაქმნას.

კანონპროექტში გამოკვეთილადაა ნათქვამი, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში.

ქათამაძის განმარტებით, სამომხმარებლო კოოპერაცია სწორედ ამით განსხვავდება ჩვეულებრივი კოოპერატივებისაგან.

პროექტის ერთ-ერთი თავი ეძღვნება სამომხმარებლო კოოპერაციის შიდაკოოპერაციულ, საერთაშორისო კავშირებს და საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის ტრადიციები "ცეკავშირს" მართლაც რომ გააჩნია და მისი აღორძინებისათვის გამგეობას სპეციალური ღონისძიებები აქვს დასახული.

კანონპროექტი არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფოსა და სამომხმარებლო კოოპერაციებს შორის. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სამომხმარებლო კოოპერაციისა და მისი წევრების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას. ხელს უწყობს კოოპერატივებისა და მათი კავშირების ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, გლეხური და ფერმერული მეურნეობების შექმნასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ორგანიზებას, სამომხმარებლო კოოპერაციაში მართვის დემოკრატიული პრინციპების დანერგვას, ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

კანონპროექტის ეს ნაწილი უაღრესად საინტერესოა. კოოპერაცია დღეს იმდენად სუსტია, რომ სახელმწიფოსაგან მხარდაჭერის გარეშე ძალიან რთული იქნება მისი ნორმალური ფუნქციონირება.

"კოოპერაცია სახელმწიფოს ერთგული პარტნიორი უნდა იყოს" - აცხადებს გამგეობის თავმჯდომარე.

პროექტში არსებული გარდამავალი დებულებების თანახმად, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნულ ალიანსს - ცეკავშირს ევალება 1996 წელს ბოლომდე შეიმუშავოს კოოპერაციულ ორგანიზაციებზე, მეპაიეებზე და სისტემის მუშაკებზე კოოპერაციული საქმიანობის განაწილების წესი.

როგორც გიორგი ქათამაძე აცხადებს, პროექტი არსებობს. ეს საქმიანობა უკვე დაწყებულია. პრაქტიკული საქმიანობის დასრულება კი 1997 წლის 1 აპრილისთვისაა დაგეგმილი.

როგორც კანონპროექტის შემდგენლები აცხადებენ, კანონის მიღების შემდეგ საქართველოს მესაკუთრეთა ფენას 100000 კაცი შეემატება.

მინისტრებმა მთლიანობაში დადებითი შეფასება მისცეს კანონპროექტს, თუმცა კი გარკვეული შენიშვნები მაინც გამოითქვა.

განხილვა ტრადიციულად ედუარდ შევარდნაძემ შეაჯამა. მან თქვა, რომ:

"მე მინდა მოიძებნოს ისეთი ფორმა, რომელიც თითქმის ყველა კანონში იპოვის ასახვას. კანონებში უნდა გაჩნდეს დებულებები კორუფციის შესახებ. ამან უნდა გამორიცხოს სისტემის კორუმპირებულობა.

ახლა კოოპერაციულ საქმიანობაში გამოცოცხლების რაღაც ნიშნები შეინიშნება, მაგრამ მიმაჩნია, რომ მივდივართ კუს ნაბიჯებით. "ცეკავშირს" დღეს საქართველო არ ცნობს, გარდა იმისა, რომ აქვს ლამაზი გამჭვირვალე შენობა. ეს არის ერთადერთი ნიშანი, რასაც თბილისელები გრძნობენ. სხვა რეალურ ძალას დღეს კოოპერაცია არ წარმოადგენს. თავის დროზე კოოპერაცია იყო დამაკავშირებელი ქალაქსა და სოფელს, გლეხსა და მუშას შორის.

თუ ეს ფუნქცია არ შესრულდება, ასეთი კოოპერაცია და სისტემა საჭირო არ არის. ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ უკვე დაგვიანებული იქნება. ამიტომ უნდა მოასწროთ ამის გაკეთება. სწრაფად უნდა იპოვოთ თქვენი ადგილი. არის დსთ-სა და შორეულ საზღვარგარეთში ბანკები, რომლებიც ამ საქმიანობისთვის მნიშვნელოვან საკრედიტო რესურსებს გამოყოფენ, ოღონდ თქვენგან დაინტერესება უნდა იგრძნონ".

არ ვიცი პრეზიდენტის მხრიდან ეს გაფრთხილება იყო თუ მეგობრული რჩევა, მაგრამ ფაქტია, რომ "ცეკავშირის" ისეთი სახით არსებობას, როგორიც დღეს არის, არანაირი აზრი არ გააჩნია და სანამ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება, უმჯობესი იქნება მისმა ხელმძღვანელობამ სისტემის რეფორმირებაზე იზრუნოს.

გიორგი კანდელაკი

"პორტო-ფრანკო" ანუ უბაჟო ქალაქი



მსოფლიოში პირველი საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი ვაჭრობის ნავსადგური ინგლისელებმა მე-18 საუკუნეში გიბრალტარის ყურეში შექმნეს. რევოლუციამდელ რუსეთში სტატუსი "პორტო-ფრანკო" (უბაჟო ქალაქი) მინიჭებული ჰქონდა ქალაქებს - ოდესას და ვლადივოსტოკს. 1878-1886 წლებში რუსეთის მიერ ალექსანდრე II-ს მანიფესტის საფუძველზე აღნიშნული სტატუსი ბათუმმაც მიიღო. თავისუფალი ზონის არსებობის 8 წელიწადმა ამ ქალაქს ეკონომიკური ზრდა და წინსვლა მოუტანა. აშენდა საზღვაო ნავსადგური, გაყვანილი იქნა ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი, გაიხსნა საზღვაო გზები, რომლებიც ამიერკავკასიას საზღვარგარეთის ქვეყნებთან აკავშირებდა.

საქართველოში 1995 წელს მიღებული იქნა საპრეზიდენტო გადაწყვეტილება ქვეყნის ტერიტორიაზე, ქალაქებში ბათუმსა და ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ)-ის შექმნის თაობაზე, თუმცა შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობის გამო ეს აქტი არ განხორციელებულა.

თავისუფალი ზონების მოდიფიკაციებს შორის შეიძლება გამოიყოს ისეთი ზონები, რომლებიც ეფუძნება საბაჟო გადასახადის (ნაწილობრივ ან სრულ) აღკვეთას და იმ საქონლის საექსპორტო-საიმპორტო კონტროლის გამარტივებას (ან აღკვეთას), რომლებიც ზონაში შემოდის.

ასეთი ტიპის ზონები, როგორც წესი, მოიცავს შედარებით მცირე ტერიტორიას და ძირითადად საზღვაო, სამდინარო ზოლში და აეროპორტებშია განთავსებული. ე.ი. სატრანსპორტო მაგისტრალების გადაკვეთაზე და სასაზღვრო პუნქტებში მდებარეობს. ძალზე ხშირად ამგვარ ტერიტორიას უწოდებენ თავისუფალი ვაჭრობის ზონებს ან თავისუფალ ნავსადგურებს ("პორტო-ფრანკო"), ასევე სატრანზიტო ზონებს, საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალ საწყობებს, საბაჟო ზონებს და სხვ. გადასახადისაგან თავისუფალი და საბაზო ზონები შეიძლება შეიქმნას ცალკეულ საწარმოებში (პუნქტობრივი ზონები).

თეზ-ის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ზონები, რომელთა ფუნქციონირება ეფუძნება არა მხოლოდ შეღავათიან ვაჭრობისა და საბაჟო რეჟიმის გამოყენებას, არამედ შეღავათიან საფინანსო და საგადასახადო რეჟიმს, დაბალ ფასებსა და ტარიფებს. იგი ასევე ეფუძნება ინფრასტრუქტურულ მომსახურებას, ტერიტორიის კომპლექსურ კეთილმოწყობას, რომლებიც შემდგომ, როგორც წესი, იჯარით გადაეცემა საზღვარგარეთელ და ადგილობრივ ინვესტორებს. ძირითადად ასეთი ზონები გამიზნულია საექსპორტო, ნაწილობრივ კი - საიმპორტო პროდუქციის წარმოებისათვის. გადამამუშავებელი მრეწველობის პარალელურად ასეთ ზონებში შეიძლება განვითარდეს ეკონომიკის სხვა სფეროებიც (მომსახურების სფერო, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა). ხშირად მათ საექსპორტო წარმოების ზონებსაც უწოდებენ. პირველი ასეთი ზონა შეიქმნა 1959 წელს ირლანდიის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუმცა შემდგომ ამგვარმა ზონებმა გავრცელება ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ჰპოვა, მათ შორის განსაკუთრებით "ახალ ინდუსტრიულ" სახელმწიფოებში "მექსიკა, ბრაზილია, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია, ფილიპინები, ეგვიპტე და სხვ.). 80-იან წლებში საექსპორტო წარმოების ზონები შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც - უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთსა და პოლონეთში.

ბოლო ორი წელია, თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიქმნა და ფუნქციონირებს უკრაინის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიაზე. თეზ-ის შესაქმნელად სამუშაოები მიმდინარეობს უზბეკეთში, აზერბაიჯანსა და სხვა სახელმწიფოებში.

და ბოლოს, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის თაობაზე წინადადებების შერჩევისა და გადამუშავებისადმი სერიოზული და მიზანმიმართული მიდგომის გარეშე, ასევე მათი ფორმირებისას სახელმწიფოს მხრიდან მათი დახმარების არარსებობის შემთხვევაში ადგილი ექნება არსებული გეგმების გარდაუვალ კრახს, აქედან გამომდინარე კი, მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკარგებსა და თვით თეზ-ის შექმნის იდეის დისკრეტიზაციას.

ამდენად ზონალური პოლიტიკის ფორმირების მხრივ ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვის ალბათ ერთადერთ ნიმუშად მსოფლიოს თავისუფალი ეკონომიკური ზონების მაგალითი უნდა იქცეს.

დათო ხატიძე

ინფორმაცია მსოფლიოს ირგვლივ

კომპანია ვალების გადავადებას ითხოვს

ფრანგულ-ინგლისურმა კომპანიამ "ევროგვირაბმა" კრედიტორ ბანკებთან მიაღწია შეთანხმებას ვალების თანდათანობით დაფარვაზე.

225 კრედიტორი ბანკის წინაშე კომპანიის ვალი დღეისათვის 14 მილიარდ დოლარს შეადგენს. კრიზისი შეეხო 750 ათას წვრილ მეანაბრეს, რომელთაგან 600 ათასი ფრანგია.

საგანგებო შუამავლების მეშვეობით "ევროგვირაბი" კრედიტორ ბანკებთან დიდხანს აწარმოებდა ძნელ მოლაპარაკებას, რათა სასურველი შედეგისათვის მიეღწია. მან სულ "უკანასკნელ წუთზე" მოახერხა გაკოტრებისაგან თავის დახსნა.

მსოფლიოს საინფორმაციო წყაროების ცნობით ყველაფერი კეთილად დამთავრებული მაინც არ არის. შეთანხმება ჯერ კიდევ დასამტკიცებელია კომპანიისა და კრედიტორი ბანკების ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ "ევროგვირაბის" აქციების კოტირება ლონდონის, პარიზის, ბრიუსელის ბირჟებზე კვლავ განახლდება.

სამთავრობო გარანტიები გაიცა

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის შტატების ექსპორტ-იმპორტის ბანკის დირექტორთა საბჭომ მოიწონა წინადადება "გაზპრომისათვის" მოწყობილობების მიწოდების დაფინანსების მომსახურებაზე. ამ ღონისძიების განხორციელებით საჯაქციონერო საზოგადოება მიიღებს 134,6 მილიონი დოლარის მოწყობილობას, ტექნოლოგიურ ხაზებს.

პროექტს საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გარანტია, ოღონდ იმ პირობით, რომ საზოგადოება შეისყიდის აიოვას შტატის ქალაქ დე-მოინეში განლაგებული ფირმის "კომპრესორ კონტროლზ კორპორეიშნის" პროდუქციას.

"ექსიმბანკის" წარმომადგენლის განცხადებით, მთავრობისგან მათ მიეცათ კრედიტის ე.წ. საშუალო-საჩქარო გარანტია, ხოლო თანხებს ნიუიორკის უმსხვილესი ბანკი "ჩეიზ მანჰეტენ ბენკი" გასცემს.

კორპორაციამ შეთანხმებას ხელი მოაწერა

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთის საინვესტიციო ფირმის "ტროიკა-დიალოგი"-სათვის 10 მილიონი დოლარის ინვესტიციაზე. აქედან 7 მილიონი გაიცემა კრედიტის სახით, ხოლო 3 მილიონი კონვერტირებული იქნება ჩვეულებრივ აქციებად.

"საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ინვესტიციები, - თქვა კორპორაციის ევროპის განყოფილების დირექტორმა ედუარდ ნესიმ, - ხელს შეუწყობს "ტროიკა-დიალოგი"-ს ფინანსური წყაროების განმტკიცებას, რათა მან შესძლოს ბაზრის შეფასებასა და პროფესიულ მომსახურებაზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ხელშეუხებლობა გნებავთ? – კი ბატონო, ინებეთ!

მაინც პარლამენტარობა სჯობს

თქვენ სურვილი გქლავთ მიიღოთ იმუნიტეტი და მასთან დაკავშირებული პრივილეგიები? სამწუხაროდ, ცოტა ხდება დიპლომატი. თვითონ განსაჯეთ. საელჩოში ადგილის დასაკავებლად დაგჭირდებათ დიპლომატიური აკადემიის დამთავრება და საგარეო საქმეთა სამინისტროს დანიშვნა.

ეს გზა გრძელია, რამდენიმე წელს მოიცავს. აი, რაღაც სხვა საშუალება რომ იყოს...

რა გაეწყობა, უფრო მარტივი მეთოდიც არსებობს იმუნიტეტისა და პრივილეგიების მისაღებად. ეს არის კონსულობა, ამასთან საპატიოცაა. კონსულის იმუნიტეტის მინიჭება ხდება კონსულთა ურთიერთობების შესახებ 1963 წლის ვენის კონვენციის თანახმად.

იმუნიტეტისა და პრივილეგიების მიღება შესაძლებელია კიდევ ერთი გზით. მაგალითად, პარლამენტარობა. დიპლომატებსაც შეშურდებოდათ ხალხის რჩეულების, რადგან დეპუტატთა პრივილეგიები მოქმედებს როგორც საზღვარგარეთ, ისე სამშობლოშიც. მაგრამ ყველა დეპუტატი არ ფლობს იმუნიტეტს. ასე მაგალითად, 1327 წელს ვინმე რეფორმატომა გექსიმ ინგლისის პარლამენტში შეიტანა წინადადება სამეფო კარის შენახვის ხარჯების შემცირების თაობაზე.



პარლამენტმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. შედეგმაც არ დააყოვნა, თუმცა მოსალოდნელსაც გადააჭარბა. ასეთი "თავხედობისათვის" გექსის, როგორც პროექტის ინიციატორს, მიესაჯა სიკვდილით დასჯა და გადაურჩა მას მხოლოდ არონდალიის არქიეპისკოპოსის მოსარჩლეობის წყალობით (ენსონი "ინგლისის პარლამენტი", 1908წ.)

თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში კონსულები იცავენ საკუთარი ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ინტერესებს. გარდა ამისა, ეწევიან ადმინისტრაციულ და ნოტარიალურ მოღვაწეობას. თუკი სახელმწიფოებს შორის რაღაც მიზეზით წყდება დიპლომატიური ურთიერთობა, მაშინ საელჩოს თანამშრომლები ერთი საათის განმავლობაში სტოვებენ ქვეყანას. რჩებიან მხოლოდ კონსულები.

(დასასრული. დასაწყისი იხ. №9, 1996 წ.)

თქვენ უკვე გსურთ გახდეთ კონსული? მაშინ გირჩევთ, დასაწყისისათვის ნახოთ როგორი პრივილეგიები გექნებათ.

პირველი. პირადი ხელშეუხებლობა

კონსულის ხელშეუხებლობის საზღვრები გაცილებით ვიწროა, ვიდრე დიპლომატისა. მიუხედავად ამისა, კონსულად გახდომის შემდეგ თქვენი დაპატიმრება ან წინასწარ პატიმრობაში აყვანა განაჩენის გამოტანამდე, შეუძლებელია. ამ წესიდან გადახვევა ხდება მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს. ყველა შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც გამოდის სამართალდაცვის სახელით.

რამდენადაც ბევრ ქვეყანაში წინასწარი პატიმრობის სახით თავისუფლების აღკვეთა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამიტომ საკონსულოს მოხელის წარდგენა წინასწარ პატიმრობაზე ფაქტიურად არ შეიძლება. მაშასადამე, თქვენ გრჩებათ დრო შასადამე, თქვენ გრჩებათ დრო აკრედიტირებული ქვეყნიდან გასასვლელად, რათა მიუწვდომელი გახდეთ.

მეორე. იურისდიქციის იმუნიტეტი

თანამდებობის პირთა და მოხელეთა ყველა მოქმედება კონსულის ფუნქციების შესრულების დროს, გათავისუფლებულია სასამართლო და ადმინისტრაციული იურისდიქციისაგან (იხ. ზემოთ). მაგრამ, თუ თქვენ მოქმედებთ როგორც კერძო პირი და არა როგორც კონსული, მაშინ ეს პრივილეგია თქვენზე არ ვრცელდება.

საკონსულოს მოხელე შეიძლება გამოიძახონ მოწმის სახით სასამართლოში, მაგრამ ის უფლებამოსილია მის სამსახურებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენება არ მისცეს. ამასთან, თუ თქვენ არ მოისურვებთ სასამართლოში გამოცხადებას, ძალას არავინ დაგატანთ.

მესამე. ფიქსალური იმუნიტეტი და საბაჟო პრივილეგიები

ეს შეღავათები თითქმის მთლიანად ემთხვევა დიპლომატიურს. მართალია, საკონსულოს მომსახურე პერსონალი განთავისუფლებულია ხელფასის დაქვითვებისაგან, ამასთან, როგორც უკვე მიხვდით, არც სამხედრო სამსახური გემუქრებათ.

პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ დადებული კონვენციის გარდა, ქვეყნებს შორის ორმხრივმა შეთანხმებამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად გააფართოოს ისინი.

ასე მაგალითად, საკონსულო კონვენციების მიხედვით მრავალი ქვეყნის საკონსულოს თანამდებობის პირები ფლობენ სრულ იმუნიტეტს სისხლის სამართლის იურისდიქციით.

ბრიტანული კონვენციის მიხედვით კი საკონსულოს თანამდებობრივი პირებისა და მუშაკების (აგრეთვე მისი ოჯახის წევრების) სტატუსი სრულად ემთხვევა დიპლომატიურს.

საპატიო კონსული

თქვენთვის უფრო რეალურია საპატიო კონსულის სტატუსის მიღება. წინა წერილის დასაწყისში სარეკლამო განცხადებაში სწორედ ეს სტატუსი იგულისხმებოდა.

საპატიო კონსულები იმავე იმუნიტეტით სარგებლობენ, რითაც საკონსულოების მუშაკები. ოღონდ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს. თუმცა, საწინააღმდეგოს დამტკიცება ძალიან ძნელი იქნება. ამით დაიწყეს სარგებლობა ნახევრადდაიწყეს სარგებლობა ნახევრადკრიმინალურმა ბიზნესმენებმა და კომერციული სტრუქტურის ხელმძღვანელებმა.

თავის დროზე კოსტა-რიკის საპატიო კონსულად რუსეთში დანიშნული იყო სერგეი მიხაილოვი, თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობა კოსტა-რიკელ ხელისუფლებას ასეთ დანიშვნაზე არ მიუღია.

ბატონი მიხაილოვის სურვილი, გამხდარიყო საპატიო კონსული, ნაკარნახევი იყო განსაკუთრებული კომერციული მოსაზრებებით. მას განზრახული ჰქონდა გემებით შემოეტანა ბანანები და სხვა ტროპიკული ხილი კოსტა-რიკიდან მოსკოვში.

სანამ საგარეო საქმეთა სამინისტრო ბჭობდა, დაერთო თუ არა სერგეი მიხაილოვისთვის ნება, "შემთხვევით მოხდა" ინფორმაციის გაჟონვა უშიშროების ფედერალური სამსახურიდან, თითქოს მიხაილოვი იყო ერთ-ერთი დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი და გარკვეულ წრეებში ცნობილი იყო მიხასის მეტსახელით.

ამის შემდეგ საფიქრალი არაფერი იყო. კოსტა-რიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიწვია თავისი საპატიო კონსული. მიუხედავად ამისა, სერგეი მიხაილოვს კოსტა-რიკის დიპლომატიური პასპორტი არ ჩამოართვეს. აქამდე მიხაილოვი ცხოვრობს შვეიცარიაში, თუმცა ახლახან მაინც დაკარგეს. თუ მოვინდომებთ, ქართულ სინამდვილეშიც შეიძლება მსგავსი მაგალითების მოძებნა.

საპატიო კონსულებით როგორც წესი, ის ქვეყნები არიან დაინტერესებულნი, რომლებსაც არ გააჩნიათ რომელიმე ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ასეთი ქვეყნის მთავრობები ნიშნავენ საპატიო კონსულს ჩვეულებრივ პრესტიჟისათვის. თუმცა ეს პრესტიჟი ხშირად გამოყენებულია ქრთამის - კონსულობის კანდიდატის მხრიდან.

საპატიო კონსულები მეტწილად სჭირდებათ რომელიმე ქვეყნისადმი ეკონომიკური ინტერესების მქონე სახელმწიფოებს ანუ იმ ტერიტორიებისადმი, სადაც მათ საკუთარი წარმომადგენლობა არა აქვთ. წარმოგიდგენიათ, როგორ ყღერს: ტრინიდადისა და ტობაგოს საპატიო კონსული, ვთქვათ, ამურის კომსომოლსკში.

ამა წლის ზაფხულში ერთი პეტერბურგელი ბიზნესმენი რეგისტრირებული იყო ტაილანდის საპატიო კონსულად. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტურისტების დიდი მოზღვავების გამო ტაილანდის ვიზების მიღებას დიდი დრო სჭირდებოდა და ფველაფერი მხოლოდ მოსკოვის ჩარევით ხდებოდა. მაშინ ტაილანდის მთავრობამ თხოვნით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგისტრაციაში გაეტარებინა საპატიო კონსული.

ასეთი მიმართვის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც წესი, განიხილავს შეთავაზებულ კანდიდატურას. საპატიო კონსულის სტატუსის მისაღებად ხომ აუცილებელად საჭიროა ორივე მხარის გადაწყვეტილება საკონსულო ფუნქციის შესრულების თაობაზე.

იმ ქვეყნის მთავრობა, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს საპატიო კონსული, არ უხდის მას ფულს, მაგრამ უხდის მას ფულს, მაგრამ ყველა შემოსავალი, რომელიც მიღებულია ნებისმიერი სახის საკონსულო მომსახურებით, იქნება ეს ვიზების გაფორმება, დოკუმენტების ლეგალიზაცია თუ ნოტარიალური რწმუნება, რჩებიან მის განკარგულებაში. ფორმალურად ეს ფული უნდა მიდიოდეს ოფისის შესანახად ან, მაგალითად, საკანცელარიო ნივთების შესაძენად, მაგრამ ვინ იქნება წინააღმდეგი ამ ფულის პირადი მიზნებისთვის დახარჯვისა? მით უმეტეს, რომ ეს შემოსავლები არ ექვემდებარება დაბეგვრას...

როგორც წინა წერილის დასაწყისში ვთქვით, ქართული დიპლომატია კვლავ გადის საერთაშორისო ასპარეზზე. კადრების მომზადებაც უკვე დაიწყო. დიპლომატიური აკადემია უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს. ის ამზადებს დიპლომატებსა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტებს. დიპლომატებისთვის სწავლება სამწლიანია, ეკონომისტებისთვის — ორწლიანი. ცხადია, აკადემიაში მიიღებიან მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები. ახლა 180-მდე სპეციალისტი ეუფლება მომავალ პროფესიას და არ არის გამორიცხული ერთ-ერთი ჩვენი ახლანდელი თანაბშრომლის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი სტატიები "შესაკუთრეს" ფურცლებზე სულ მალე იხილოთ.

პრივილეგიების, იმუნიტეტის მსურველები დღევანდელ საქართველოში საკმაოდ ბევრია.

ჩვენ ზოგადად ბევრი რამე გიამბეთ, დაგაკვალიანეთ. დანარჩენი თქვენს უნარსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

თუ მოინდომებთ, დაიცავთ თქვენს ღირსებას

ხშირად მთავარი გვავიწყდება

10 ნოემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის დღე იყო. ეს უდავოდ კარგი ღონისძიებაა, მაგრამ ერთგვარად უხერხულად ჟღერს. წესით წელიწადის ყველა დღე ადამიანის უფლებათა დაცვას უნდა ეძღვნებოდეს.

და მაინც, თუმცა დაგვიანებით, ვცადეთ ჩვენი გაზეთის პროფილის შესაბამისად გამოვხმაურებოდით ყველაზე ძვირფასს - ადამიანის უფლებათა დაცვას. ამჯერად მორალურ ზიანზე ვისაუბრებთ, რასაც ყველაზე ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ ამ ისედაც აფორიაქებულ ჟამს და საარსებო საშუალებების ძებნაში ხშირად სულაც გვავიწყდება.

ნერვებიც ფული ღირს

ზაფხულის ბოლოს, ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელმა თავის ბინაში ევრორემონტის გაკეთება გადაწყვიტა. ცოლთან ერთად დიდხანს დაეხეტებოდა მაღაზიებში და ყურადღებით არჩევდა თითოეულ წვრილმანს, რომელიც მის ბინას დაამშვენებდა. ერთ ასეთ წვრილმანად იქცა იტალიური წარმოების გათბობის ბატარეა.

რემონტი დამთავრდა. მეუღლეები დაბრუნდნენ კურორტიდან, სადაც რემონტის დამთავრებამდე ისვენებდნენ. "აი ახლა კარგად ვიცხოვრებთ", - ფიქრობდნენ ისინი.

დადგა შემოდგომა, მასთან ერთად კი გათბობის სეზონიც. თითქმის მეორე "გათბობის დღეს" საფირმო ბატარეები დასკდა. თითქოს ჯიბრზე, ბინის პატრონებიც სახლში არ იყვნენ. აი აქ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. გარდა იმისა, რომ ცხელი წყლის სიმხურვალისაგან ბინა ქოხს დაემსგავსა, წყალი მეზობლებსაც ჩაუვიდათ.

"რამდენი ძალისხმევა და თანხა დაიკარგა. ვინ იცის კიდევ რამდენი დასჭირდება" - თავში ხელი შემოირტყეს მეუღლეებმა. მეხდაცემულებივით დაბარბაცებდნენ ოთახიდან ოთახში.

გამწარებულმა წყვილმა სასამართლოში უჩივლა, რა თქმა უნდა, არა იტალიელებს (რომლებიც სხვა პირობებისთვის შეუფერებელ პროდუქციას ამზადებენ), არამედ მაღაზიას, რომელიც მათ ჰყიდის.

ცოლ-ქმარი მოითხოვდა: 50 ათას, ვთქვათ, ლარს (დაბალხარისხოვანი ბატარეის საკომპენსაციოდ); 5 ათას (მეზობლის ჭერის ღირებულება) და 15 ათასს (მორალური ზარალი).

სასამართლომ ჩათვალა, რომ იტალიურმა ბატარეებმა ცოლ-ქმარს არ მიაყენეს 15 ათასის მორალური ზარალი და ეს თანხა 5 ათასამდე დაიყვანეს. საერთო ჯამში მაღაზიამ მეუღლეებს 60 ათასი ლარი გადაუხადა - მოთხოვნილზე 10 ათასით ნაკლები.

მავნებლებიც ბევრნი არიან

მიყენებული მორალური ზარალისათვის კომპენსაცია რომ მოითხოვოთ, კარგად უნდა იცოდეთ, გაქვთ თუ არა ამის უფლება.

მორალური ზარალის ანაზღაურების უფლებას, მოქალაქეობრივი კოდექსი ზოგიერთ ქვეყანაში იძლევა მხოლოდ მაშინ, როცა ზარალი არ ეხება მოქალაქის მატერიალურ მხარეს. კერძოდ, როცა მორალურად ადამიანი ზარალდება სიცოცხლით ან ჯანმრთელობით, პირადული ღირსების შელახვით, პირადი ხელშეუხებლობის, ღირსებისა და კეთილი სახელის შებღალვით, საქმიანი რეპუტაციის დაკარგვით, პირად ცხოვრებაში ჩარევით, პირადი ან საოჯახო საიდუმლოს გამჟღავნებით, თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლების შეზღუდვით, ასევე საავტორო და სხვა არაქონებრივი უფლებების დარღვევით.

თქვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შეიძლება დაირღვეს *ჟურნალისტების, მეზობლებისა და თვით თქვენი უფროსების* მიერ (მაგალითად, მას მოუნდება, უკანონოდ გაგანთავისუფლოთ სამსახურიდან). ყველა ეს დამრღვევი, თქვენთვის მორალური ზარალის ანაზღაურების კანდიდატია.

ექიმებიც კომპენსაციას იხდიან არასწორი მკურნალობისათვის. ასევე სამკურნალო საიდუმლოს გათქმისა ან საერთოდ თქვენს მიერ ექიმისთვის მიმართვის ფაქტის გაცხადებისათვის.

პოლიციელებიც შეიძლება გახდნენ თქვენი მევალეები. მაგალითად, თქვენი ეროვნულობისათვის. ადრე ეროვნება ისაზღვრებოდა ერთ-ერთი თქვენი მშობლის მიხედვით და არსებობის მანძილზე ეს ინსტრუქცია არ შეცვლილა. ახლა კი, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს უფლება თვითონ აირჩიოს ეროვნება ან საერთოდ უარი თქვას მასზე. პოლიცია კონსტიტუციაში იშვიათად იხედება. საპასპორტო მაგიდაზე მოგთხოვენ მეხუთე გრაფის ძველებურად შევსებას, რითაც გაძლევენ შესანიშნავ საშუალებას სასამართლოში ჩივილისათვის.

თანამდებობის პირები? ისინიც შედიან იმ პირთა კატეგორიაში, რომლებსაც შეუძლიათ შეურაცხყოფა მოგაყენონ. შეიძლება მათაც უჩივლოთ. მართალია, მათთვის ეს სულერთია, რადგან მოგცემენ თუ არა თქვენ კომპენსაციას, ის მაინც სახელმწიფო ხაზინიდან გადაიხდება.

მაგალითად, მორალური ზარალის მიყენების ტიპიურ შემთხვევას წარმოადგენს უარი საცხოვრებელი ან სამყოფი ადგილის რეგისტრაციაზე. უმეტეს შემთხვევაში ეს დაკავშირებულია მრავალგვარ მძიმე გადასახადთან, რომელიც დაწესებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ხშირად მოქალაქეებისათვის ამ ფულის წართმევას სწორედ რეგისტრაციამდე ცდილობენ, რაც არაკონსტიტუციურია. ამაზეც შეიძლება ფულის "გაკეთება".

რა უნდა მოიმოქმედოთ, თუ ერთ-ერთმა თქვენმა კონკურენტ-თაგანმა შეურაცხყო თქვენი ფირმის კეთილი სახელი? ახლა რა, შეგიძლიათ მოითხოვოთ კომპენსაცია მორალური ზარალისათვის?

არა. მორალური ზარალი არ შეიძლება მიყენებული იქნეს იურიდიული პირისათვის. ის ხომ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას ითვალისწინებს. იურიდიულ პირს არ შეუძლია არც ერთის განცდა.

რაც შეეხება "დამცირებული" ფირმის მმართველებს, არც მათ შეუძლიათ ჰქონდეთ რაიმე იმედი. თქვენ ისღა დაგრჩენიათ, რომ აიძულოთ კონკურენტი მოგაყენოთ პირადი შეურაცხყოფა.

თქვენ აქლემი არა ხართ

თუ თქვენ შეურაცხგყვეს, სულაც არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, რომ აქლემი არა ხართ, თუმცა ასე გიწოდეს.

ყველაფერმა თქვენმა გამანაწყენებელმა უნდა დაამტკიცოს. თუკი მოწინააღმდეგემ ვერ დაარწმუნა სასამართლო, რომ თქვენთვის არ მოუყენებია შეურაცხყოფა, შეგიძლიათ მიიღოთ კომპენსაცია მორალური ზარალისათვის.

არის შემთხვევები, როცა მორალური ზარალის ანაზღაურება ხდება თქვენი მოწინააღმდეგის დამნაშავეობის მიუხედავად.

პირველი: თუ თქვენ შეხვედით კონტაქტში ჯანმრთელობის ან სიცოცხლის "ძლიერ საშიშ წყაროსთან". ასეთი კონტაქტის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, ვთქვათ ელემენტარულად, ავტომობილის მიერ ადამიანის გატანა. აქ მორალური ზარალის გარდა ამოღებულ უნდა იქნას თანხა მოვლა-მკურნალობისათვის, ასევე პენსიის მსგავსი დახმარება მთელი ცხოვრების მანძილზე (თუ დამტკიცდა თქვენი პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა).

მეორე: თუ თქვენ უკანონოდ გასამართლეს და ეს დამტკიცებულია. ეს ასევე ეხება თქვენს უკანონო დაკავებას, თქვენგან ქალაქიდან არგასვლის ხელწერილის აღებას ან გამოსასწორებელი სამუშაოების მისჯას.

მესამე: თუ თქვენ ზარალი მოგაყენეს იმ ინფორმაციის განცხადებით, რომელიც ლახავს თქვენს ღირსებას, სამსახურებრივ რეპუტაციას.

მეოთხე: თუ თქვენი უფლებები დარღვეულია სახელმწიფო ორგანოების ან მისი თანამშრომლების უკანონო ქმედების შედეგად. მაგალითად, თქვენ დაგაკავეს მილიციის თანამშრომლებმა ვინაობის დასადგენად. ამ პროცედურისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. თქვენ კი დაგვიანეთ საქმიან შეხვედრაზე, რომლიდანაც კარგ მოგებას ელოდით. ზუსტად დროა, მოითხოვით მორალური ზარალის ანაზღაურება.

ვინ არის ყოველთვის მართალი?

ამრიგად, მორალური ზარალის ანაზღაურება შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შელახულია თქვენი არამატერიალური უფლებები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენი ახალი BMW დაზიანებულია "მოსკვიჩის" მფლობელის მიერ და თქვენ უვნებელი გადარჩით, არ გაქვთ უფლება მოითხოვოთ მორალური ზარალის ანაზღაურება. თქვენ მხოლოდ იმ თანხას მიიღებთ, რომელიც თქვენი მანქანის შეკეთებას დასჭირდება.

თუმცა, როგორც ყველა წესში, გამონაკლისები აქაც არის. ისინი ძირითადად გვხვდება ყველასთვის საყვარელ კანონში "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ". მომხმარებლად კი თითოეული ჩვენთაგანი გვეკლინება. სრულებით არა აქვს მნიშვნელობა იმას, ვიყიდეთ რაიმე, თუ უბრალოდ დავაპირეთ ამის გაკეთება.

მაგალითად, ბევრს ჰქონია ასეთი შემთხვევა: რკინიგზის სალაროებში არ არის ბილეთები. განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც დამსვენებლები ილტვიან კურორტების მიმართულებით. თქვენ გინდათ შეიძინოთ ბილეთი, რკინიგზას კი არ შეუძლია იგი მოგაყიდოთ. თქვენ უფლება გაქვთ მოთხოვოთ რკინიგზას მორალური ზარალის ანაზღაურება.

მაგრამ, თუ რაიმე მომსახურება გაგეწიათ უფასოდ, მაშინ არანაირი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არა გაქვთ.

იმარჯვებს ბოღმიანი კაცი

უცებ გაგახსენდათ რომელიმე ძველი წყენა და გადაწყვიტეთ მოითხოვოთ მორალური ზარალის ანაზღაურება. მაშინ თქვენ უნდა განსაზღვროთ, როგორ დაამტკიცებთ ფაქტს, რომ განიცადეთ ფიზიკური და ზნეობრივი ზიანი.

რაც შეეხება ფიზიკურ ზიანს, აქ ყველაფერი ნათელია. ამის დამტკიცება ექიმის ცნობასაც შეუძლია, მით უმეტეს, თუ თქვენი ჯანმრთელობა გაუარესდა სტრესული სიტუაციის ზემოქმედებით.

გარკვეულ ვითარებაში შეგიძლიათ დაისვათ რომელიმე დიაგნოზი. ამისათვის საჭიროა დროულად მიაკითხოთ ექიმს, განაცხადოთ თქვენი ჩივილის შესახებ და გაიაროთ გარკვეული სამკურნალო კურსი. შემდეგ წარუდგინოთ სასამართლოს თქვენი ავადმყოფობის ისტორია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ეჭვიც არ შეეპარება, რომ მორალური ზარალი მოგაყენეს.

დავუშვათ, რომ თქვენი ორგანიზმი სრულებით არ დაზიანდა. მაშინ დროა იფიქროთ სულზე.

შეგიძლიათ დაემყაროთ თქვენს ზნეობრივ განცდებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოში მოწმეების მიყვანა დგჭირდებთ, რომლებიც იმ თქვენს ტანჯვებს დახატავენ. უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლიათ ვიდეოკამერაზე ჩართოთ ქრონომეტრი და გადაიღოთ თქვენი განცდები.

თუ ამან სასამართლოზე ზეგავლენა ვერ მოახდინა, მაშინ მოითხოვეთ სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. თუმცა, ჯერ დაფიქრდით, ღირს კი ნერვების ასეთი დაძაბვა? ზნეობრივი ზარალი ხომ ყოველთვის იაფია ფიზიკურზე.

მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეთ, თუ როგორ მოიქცეთ სასამართლოზე, დაფიქრდით საქმის ტექნიკურ მხარეზეც. მაშ ასე...

მოსამართლეებს იაფფასიანი მომჩივნები არ უყვართ.

ბაჟი, რომელიც თქვენ უნდა გადიხადოთ საჩივრის დროს, სასაცილოდ პატარაა და სრულებით არ არის დაკავშირებული თქვენი მოთხოვნების სიდიდესთან. ის შეადგენს მინიმალური ხელფასის, ვთქვათ, 10%-ს.

მორალური ზარალი კანონით მხოლოდ ფულით კომპენსირდება. ასე რომ, მორალური ზარალის საზღაურად ბინისა და ანარის ტულებზე საგზურის მოითხოვა არ შეიძლება.

რაც შეეხება თანხის სიდიდეს, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მთელი ქვეყნის წლიური ბიუჯეტის ანაზღაურება.

მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ სულ არ არის სავალდებულო ამ თანხის თქვენთვის მიკუთვნება. აქ ყველაფერი დამოკიდებულია დიაგნოზზე ან ზნეობრივ დანაკარგებზე. მათზე დაყრდნობით სასამართლო გადაწყვეტს, გეკუთვნით თუ არა თქვენს მიერ მოთხოვნილი თანხა. საბოლოოდ ეს თანხა გაცილებით მცირე იქნება, ვიდრე თქვენ ფიქრობდით.

"დამამცირებელ" საჩივრებს კი, რომლებშიც კომპენსაცია გროშების მეტს არაფერს შეადგენს, სასამართლოები იშვიათად იღებენ.

მიზნის სიზუსტესაც მნიშვნელობა აქვს

მორალური ზარალის ასანაზღაურებლად საჩივარი შეიძლება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში უნდა მიუთითოთ: კერძოდ რომელი ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს; სად იქნა ისინი გავრცელებული; რატომ არიან ისინი თქვენი შეურაცხმყოფელნი და ა. შ.

ბოლო გაბრძოლება

ვთქვათ სასამართლომ აღიარა თქვენი სიმართლე. როგორ უნდა მიიღოთ ფული?

გამოართვით მოსამართლეს აღმასრულებელი ფურცელი და გადაეცით იგი აღმასრულებელს. თუ სასამართლო არ მდებარეობს იმ რაიონში, რომელშიც ცხოვრობს თქვენი მოწინააღმდეგე, მოგიწევთ ამ ფურცლის მის რაიონში მიტანა.

მას შემდეგ, რაც სასამართლოს აღმასრულებელი მიიღებს ამ ფურცელს, ის გზავნის ინკასორულ დავალებას იმ ბანკში, სადაც თქვენს მოწინააღმდეგეს ანგარიში აქვს გახსნილი.

ბანკი ვალდებულია ორი დღის ვადაში ჩამოწეროს ამ ანგარიშიდან მითითებული თანხა.

შემდეგ ეს თანხა ირიცხება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და აღმასრულებელი ხელზე გადმოგცემთ მას. ამ თანხაზე გადასახადი არ არსებობს.

თუ თქვენი განმანაწყენებლის ანგარიშზე არ აღმოჩნდება საკმარისი თანხა, მაშინ ჯერი მის ქონებაზე მიდგება. მას რეალიზაციას გაუკეთებს ის მაღაზია, რომელსაც სასამართლო აირჩევს. ამოღებული თანხა თქვენია...

მეტისმეტი ხომ არ მოგვივიდა?

ეტყობა, თუ ზემოთნათქვამ რჩევებს კარგად ჩაუკვირდებით, მივხვდებით, რომ სიღრმეში შეგვიტოპავს.

საქმე ის არის, რომ ყველა აღნიშნული სიტუაცია შეიძლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიქმნას, მაგრამ შედეგი სასურველი არ იყოს, რადგან ეს ყველაფერი ეფუძნება კანონების მწყობრ სისტემას, რომელიც ჩვენთან მხოლოდ ახლა ყალიბდება.

რჩევები კი უსათუოდ გამოგადგებათ, რადგან ყველაფერი წინ არის და მალე ჩვენც ცივილიზებულად ვიცხოვრებთ.

ნია ირაკლიშვილი

"გვიამბე ელიზბარაო"...

მაინც რა უნდა რიბკინს

გამოცანა გერგებათ, თუ გამოიცნობთ. ერთ ქართულ ლექსში ნათქვამია: "ამ მკერდში ორი გული ძევს, ერთში თოვს, ერთში - დარია". რას ნიშნავს? ორგულობას? შეყვარებულის გაორებას? როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ოლოლო თქვენ, ვერ გამოიცანით.

ეს პოლიტიკაა, დიპლომატის ორსახოვნებაზეა ლაპარაკი, თამაშზე, რომელსაც ყველა მოკვდავი ვერ გაიგებს და წინასწარ ვერც იმას მიხვდება, თუ ვის დარჩება ლელო.

არ გვინდა ძალიან შორს შევტოპოთ და მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ამ დღეებში საქართველოს ჩრდილოელი სტუმრები მოუმრავლდნენ. აჭარას ეწვივნენ მაღალჩინოსანი გენერლები, რომელთა დაქვემდებარებაშიც სასაზღვრო ჯარები არიან. ადგილობრივ ხელისუფლებასთან საზღვრის ერთობლივი დაცვის

საკითხებიც განიხილეს. ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა ასე ითქვა, კულუარებში საუბრის მოსმენას კი დიდი პოლიტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. საგულისხმოს მაინც ვერაფერს გაიგებ.

გუშინწინ თბილისს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი გენადი სელეზნიოვი ეწვია თანმხლებ პირებთან ერთად. იგი მაღალი რანგის თითქმის ყველა სახელმწიფო მოღვაწეს შეხვდა. საუბარში, როგორც იტყვიან, საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს. ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა ფართოდ გააშუქეს ბატონ სელეზნიოვის ვიზიტი, მოლაპარაკებათა შედეგები. ერთგვარი ოპტიმიზმიც გაჩნდა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებაში.

ამ ფონზე მეტად მოულოდნელი იყო რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ივან რიბკინის განცხადება, ისიც სპიკერის თბილისში ჩამოსვლის წინ.

ბატონმა რიბკინმა ჩეჩნეთთან რუსეთის ურთიერთობა ყოველმხრივ მოწესრიგებულად ჩათვალა და ჩვენს ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან ერთად ერთობლივი მოღვაწეობის გაფართოებაზე ალაპარაკდა.

სასიხარულო ამბავია. ეს უთუოდ უაზრო ხოცვა-ჟლეტვის დამთავრებას, ჩეჩნეთში რუსეთის ზეგავლენის გაძლიერებას უნდა მოასწავებდეს, მაგრამ...

ეს ოხერი "მაგრამ" ყოველთვის იქ გაეჩხირება, სადაც საჭირო არ არის და საქმეს უკუღმა შეაგრიალებს.

ამჯერადაც ასეა. უშიშროების საბჭოს მდივანმა ერთობლივი ძალისხმევაც გაშიფრა და დააკონკრეტა. ბატონ რიბკინს მხედველობაში ჰქონია რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაცვა რუს და ჩეჩენ მესაზღვრეთა ერთობლივი ძალებით.

გაუგებარია, რატომ გახდა ასეთი აქტუალური რუსეთ-საქართველოს საზღვრის ასე საგანგებო დაცვა მაინცდამაინც ჩეჩნეთის მონაკვეთზე. მაინც რამ შეაშფოთა ბატონი რიბკინი?

რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში საქართველომ აშკარად დაუჭირა მხარი ჩრდილოელ მეზობელს და ჩეჩენი ბოევიკებისათვის რაიმე მხარდაჭერის ფაქტი თვით რუსეთსაც არ დაუფიქსირებია. ამ თვალსაზრისით ბატონ რიბკინის ვარაუდის გამოცნობა ძნელი არ არის, მაგრამ უმაღური საქმეა.

ისე, ერთობლივი ძალებით რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის დაცვაც არ იქნებოდა ურიგო საქმე და ბატონი რიბკინი ამაზეც უნდა დაფიქრდეს, თუ მართლა კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა სურს, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ სხვა ამბავია.

თანაც ახალი ნაბიჯის ცდაც არ გახლავთ.

ძველი გეგმაა სამხრეთისკენ ლტოლვა.

რუსეთის გავლენიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გასვლამ საგრძნობლად შეამცირა მისი ზეგავლენის არეალი.

თანაც ნატოს ამასწინანდელ სესიაზე გადაწყდა, რომ მომავალ წელს ბლოკში გაერთიანდებიან პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი.

ნატოს ხელმძღვანელობამ დაარწმუნა რუსეთი, რომ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე არ განალაგებენ ბირთვულ იარაღს, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ პრიმაკოვის ნატოს სესიაზე საკმაოდ მწვავე გამოსვლით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთი შეეცდება ნატოს აღმოსავლეთისკენ ლტოლვას რაღაც მაინც დაუპირისპიროს. ამ ცდის გამოძახილად ჩანს ბატონ რიბკინის განცხადება მაინცდამაინც საქართველოსთან საზღვრებზე ყურაღღების გამახვილებაზე.

ნ. თევზაძე

ი ყ ი დ ე ბ ა

თურქული თონის კომპლექტი,
მანქანა „ვოლცვაგენი“ 1981 წლის გამოშვება.

ცნობებისათვის დარეკეთ: 98-44-12
20⁰⁰ საათის შემდეგ

ჭრელი ამბების დასტა

პოეტის წერილები აუქციონზე

"ქრისტი"-ს აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს ბორის პასტერნაკის საარქივო მასალები, რომელთა შორის არის ბევრი მისი ლექსის შავი პირი და ბევრიც საბოლოო ხელნაწერი. აქვეა მეტად საინტერესო, აქამდე - გამოუქვეყნებელი წერილები, რომლებითაც დიდი პოეტი 1957-1960 წლებში მიმართავს ოლგა ივინსკაიას.

მათ 1946 წელს გაიცნეს ერთმანეთი. ოლგა მაშინ 34 წლისა იყო - ქალი უკვე ორჯერ დაქვრივებული. იგი ჟურნალ "Новый мир"-ში მუშაობდა. სწორედ აქ შეხვდა თავისი ახალგაზრდობის საყვარელ პოეტს ბორის პასტერნაკს. მაშინ პოეტი 56 წლისა იყო. პასტერნაკს განზრახული ჰქონდა დაეწერა რომანი პროზად, რომლის გმირიც სწორედ ოლგა უნდა ყოფილიყო.

და მართლაც, ოლგასა და ბორისის მღელვარე, დრამატულ სიყვარულს, ქალის დაპატიმრებას, ბორისის თბილისში გაქცევას (აუქციონზე გამოტანილი წერილებიც ძირითადად თბილისიდანაა გაგზავნილი), მძიმე ავადმყოფობას, მალულ შეხვედრებს უშუალოდ უკავშირდება "დოქტორი ჟივაგო". აუქციონზეც, სწორედ ამ რომანის გამო დაედო დიდი ფასი პოეტის სატრფიალო მიმოწერას.

თეატრალური აფიშის სენსაცია

ბერლინის თეატრალური აფიშის სენსაციად იქცა სტეფან კოლდიცის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის - "ევა, ჰიტლერის საყვარელი" - პრემიერა. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი არაფრად აგდებს პოლიტიკას და მხოლოდდამხოლოდ სიყვარულსა და ერთგულებას ქადაგებს. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ მაყურებელთა - წარმოდგენის ნახვის მსურველთა რიგებს ბოლო არ უჩანს. სხვათაშორის დღეს კრიტიკოსებს ზუსტად ის აოცებთ, რომ ადამიანებს მონატრებიათ სანახაობა წმინდა სიყვარულის შესახებ.

მოყვარეს პირში შერახე...

"რატომ ხდება ჩვენში (რა თქმა უნდა, იგულისხმება რუსეთი) უთვალავი ავარიები? - კითხულობს პოპულარული რუსი მწერალი ვიქტორ ასტაფიევი და თვითონვე პასუხობს, - წინათ გვეგონა, რომ მანქანები არ გვივარგოდა, მაგრამ ახლა რომ დასავლური ავტომობილებიც იმსხვრევა! ყველაფერი უფრო იმიტომ ხდება, რომ რუსი მძღოლი მანქანის საჭეს რომ უზის, პირი ფართოდ დაუღია, გონება კი უმოქმედოდ აქვს მიშვებული. ყველაფრის მიზეზი სწორედ ეს მიშვებული ცხოვრებაა. ძაღლები რომ ძაღლები არიან, ჩვენთან ისინიც ასე ცხოვრობენ. გამოვა ძაღლი შუა გზაზე, დაჯდება და გაშტერდება, ვითომდა სიცოცხლის პრობლემებზე ფიქრობსო, და ასე იჯდება, სანამ მანქანა არ გადაუვლის. დასავლეთში მანქანის ბორბლებით გატანილი ძაღლი მე არ მინახავს". სწორედ ამაზე ითქმის - მოყვარეს პირში უძრახეო...

პრეტენზია 24 მილიონ მარკაზე

მოსალოდნელია გახანგრძლივდეს მაუწერებული და მრავალთვიანი სასამართლო პროცესი. სახელგანთქმულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა მონიკა სელეშმა სასამართლო ინსტანციების საშუალებით 24

მილიონ მარკაზე მეტის ფიხანსური პრეტენზიები წაუყენა გერმანიის ჩოგბურთის კავშირს.

პრეტენზიის არსი ცნობილია: გერმანიის ჩოგბურთის კავშირის მხრიდან დაცული არ იყო უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ზომები ჰამბურგში ჩატარებული ტურნირის დროს (1993 წლის 30 აპრილს), რამაც ფსიქიურად გაუწონასწორებელ ფანატიკოსს საშუალება მისცა დანიანად შეპარულიყო ჩოგბურთის კორტზე და სელეში ზურგში დაეჭრა. ჭრილობის შედეგად ქალს მიადგა როგორც ფიზიკური, ისე მორალური ზარალი.

სელეში ვექილის რჩევით 75 მილიონ მარკას მოითხოვს. მისი ოპონენტები ჩოგბურთის კავშირიდან კი ამტკიცებენ, "მსგავსი ტერორისტული აქტის ჩადენა არ შეიძლებოდა ნავარაუდევი ყოფილიყო, ამიტომ არც უსაფრთხოების ზომების ნაკლზე შეიძლება ლაპარაკი"-ო. ნაწილობრივ ისინი მართალი არიან, ასეთი რამ ხომ ყოველთვის მოულოდნელად ხდება.

უნიკალური ფოტოები ამტკიცებენ

ამ ოცდაათი წლის წინათ შვედმა ფოტოგრაფმა ლენარტ ნილსონმა თავისი უნიკალური ფოტოებით ქვეყანა გააოცა. მან ფირზე აღბეჭდა ადამიანის ჩანასახის განვითარების ეტაპები. ავტორმა ფოტოსერიალს "სიცოცხლის დრამა" უწოდა.

ამჯერად ლენარტ ნილსონმა, უკვე 74 წლის კაცმა, მიროსკოპული ლინზების დახმარებით შექმნა დედამიწაზე მოსახლე სულიერთა დაბადებადელი ფოტოსურათების ალბომი.

ადამიანთა, მაიმუნთა, ღორთა, ძაღლთა, ქათამთა და მისთანათა შორის გარკვეული ნათესაობა რომ არსებობს, ეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში თეორიულად დაამტკიცეს და დაადგინეს იმდროინდელმა ნატურალისტებმა და ზოოლოგებმა. მათი მტკიცება XX საუკუნეში გენეტიკოსებმაც დაადასტურეს. მაგრამ ეს მტკიცება მეცნიერულ სფეროს თითქმის არ გასცილებია.

შვედი ფოტოგრაფის ფოტოგრაფიები კი ყველასათვის მისაწვდომს და გასაგებს ხდის აშკარა მსგავსებას დედამიწის ბინადარ ყველა სულიერს შორის.

ალარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მეცნიერების მიერ ათასგვარი "ბაგალითები" მიხედვით ადამიანთა და ცხოველთა სხვადასხვა ნათესაობა და მსგავსებაც მტკიცდება. ამ ალბომებში გვაქვს მათი ქცევა.

მაგალითად სულ ახლახანს დაადგინეს, რომ თურმე სპილოები წუთიერი დუმილით პატივს სცემენ დაღუპული ამხანაგის ძვლებს. მერე ერთი ძვალი აუცილებლად თან მიაქვთ - სამახსოვროდ. თვით ფრინველებიც კი არ ემორჩილებიან მხოლოდ თანდაყოლილ ინსტინქტებს. უფროსების დახმარების გარეშე ისინი ჭიკჭიკსაც კი ვერ შეძლებენ, ვერ ისწავლიან.

ნილსონი წლების განმავლობაში მუშაობდა და ქმნიდა ამ გასოცარ ფოტოსერიალს, მაგრამ მას მეცნიერული მიზანი არ დაუსახავს. "უბრალოდ მინდოდა, რომ ადამიანს გასჩენოდა პატივისცემის გრძნობა, საერთოდ სიცოცხლისადმი. სწორედ პატივისცემისა, რადგანაც ყველანი ჩვენ ვართ, ჩვენ და არავინ სხვა", - ამბობს იგი.

ლუდის ისტორია

ლუდი 5000 წლის წინანდელი სასმელია. ზოგ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ მას პირველად ეგვიპტეში ხარშავდნენ, სხვები კი ტიბროსისა და ევფრატის შუამდინარეთს მიუთითებენ და ლუდის გაჩენას კიდევ ორი ათასწლეულით უკან სწევენ.

ლონდონის მუზეუმში ინახება ქვაზე ამოტვიფრული დოკუმენტი, რომელიც IV საუკუნით არის დათარიღებული. მასზე მოცემულია ლუდის დამზადების რეცეპტი.

იმ ხანაში 19 ხარისხის ლუდს ამზადებდნენ და სვიის ნაცვლად გემოს მისაცემად თაფლს და დარიჩინს იყენებდნენ.

ძველი ბაბილონის მეფე ხამურაპი (1792-50 წ. ჩვ. წ. აღ.-მდე), როგორც ცნობილია, მიიღო ჩვენამდე შემონახული კანონთა კრებული, რომელშიც 282 პარაგრაფი შედიოდა. ზოგი მათგანი ეხებოდა მომხმარებლის უფლებების დაცვას და პირდაპირ უკავშირდებოდა ლუდს. კერძოდ, თუ ლუდის მხარშავი ქალი (მაშინ მხოლოდ ქალებს ანდობდნენ ლუდის ხარშვას) მოითხოვდა ისეთ ფასს, რაც პურის ფასის ნაცვლად ვერცხლის ფასს შეესაბამებოდა, მას აუცილებლად დააჯარიმებდნენ ან წყალში აგდებდნენ. ფასების დარეგულირება ამით არ მთავრდებოდა. თუ ვინმე ცუდ ლუდს ან მის ნაცვლად რაღაც სხვა ფალსიფიცირებულ სასმელს გაყიდიდა, მას იმავე ლუდის კასრში ან იმავე ლუდის სმით ახრჩობდნენ.

ნაბუქოდონოსორის მეფობის წლებში ლუდში სპირტის ოდენობა და ფასი მკაცრად იყო რეგლამენტირებული. ლუდის მხარშველებს ჰქონდათ თავიანთი კავშირი, რომელიც ძველი ბაბილონის ღვთაება ანუს ქვეშევრდომობდა. უშუალოდ ლუდს კი ღვთაება მარდუქი მფარველობდა.

ჰეროდოტე ლუდს ქერის ღვინოს უწოდებდა. ფრაკელები ადრიატიკიდან თვით შავ ზღვამდე ყოველდღიურად მიირთმევდნენ თხელ ლუდს. შუასაუკუნეებში კი ლუდის ხარშვის ცენტრმა ფლანდრიაში გადაინაცვლა. სამწუხაროდ, ნაკლები ცნობები გვაქვს ლუდის ხარშვაზე საქართველოში. იმის ვარაუდი კი უყოყმანოდ შეიძლება, რომ მის ხარშვას ჩვენს მთებშიც დიდი ხნის ისტორია ექნება.

მსახიობის საჩუქრები აუქციონზე

შვედმა მსახიობმა ბრიტ ეკლანდმა, რომელმაც სახელი გაითქვა ქმრების კოლექციონერობით, აუქციონ "ქრისტიზე" გასაყიდად გაიტანა ყველაფერი, რაც მის ლონდონის სახლში დარჩა ყოფილი ქმრებისაგან. მათ შორისაა ინგლისელი მსახიობის პიტერ სელერსის წერილები, რომელმაც სიკვდილის წინ, 1980 წელს, ბრიტ ეკლანდს სთხოვა, არასოდეს არ გამოექვეყნებინა ლეგენდარული ჯგუფის "Stai Cats"-ის წევრის, ჯიმ მაკდონელის დისკოები და როდ სტიუარტის სტუდიური ჩანაწერების ორიგინალები. 54 წლის ეკლანდმა განაცხადა, რომ ამერიკაში გადასახლებას და სრულიად ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს.

მსოფლიო ეკონომიკა

ჩრდილში მყოფი პრეზიდენტობის კანდიდატი

რამდენიმე თვის წინ, მთელი ამერიკა მოფენილი იყო წინასაარჩევნო პლაკატებით, რომლებზედაც ძირითადად ორი პიროვნების სახე ფიგურირებდა - ბილ კლინტონისა და ბობ დოულის. ხშირი გამოსვლები ტელევიზიით, გამუდმებული მოგზაურობა შტატიდან შტატში თუ ათასგვარი სარეკლამო რგოლები, ერთი მიზნით იყო განმსჭვალული - მოეპოვებინათ პრეზიდენტის სანუკვარი სავარძელი. ამ ორი პიროვნებისაგან განსხვავებით, ერთგვარ ჩრდილში იმყოფებოდა მესამე, აშშ-ში არანაკლებ ცნობილი ადამიანი, მულტიმილიონერი ჰენრი როს პერო. ოთხი წლის წინ როსს პერო საპრეზიდენტო არჩევნებში მათ გამართვამდე ორიოდე თვით ადრე ჩაება. მაშინ ყველას ეგონა, რომ პეროს არავითარი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ 80 მილიონიანი სარეკლამო კომპანიის ჩატარების შემდეგ, მისმა რეიტინგმა საგრძნობლად აიწია. საბოლოოდ როსს პერომ ამომრჩეველთა ხმების 19%-ზე მეტი მოაგროვა და თეთრი სახლის მეთაურის სავარძელზე დემოკრატიული პარტიის კანდიდატის, ბილ კლინტონის დასმას შეუწყო ხელი.

ჰენრი როს პერო პრეზიდენტობის კანდიდატთა სიაში მეტად საინტერესო და თავისებურ პიროვნებად ითვლებოდა. მაგალითად, ყოველ შაბათს იგი უბრალოდ ჩაცმული, ძველი მოდელის ავტომობილით მიდიოდა "General motors"-ის დილერებთან და იწყებდა კომპანიის მიერ გასაყიდად გამოფენილი ექსპონატების თვალიერებას. მომუშავე პერსონალი მის გამოხდომებს ამრეზით უყურებდა მანამდე, სანამ რომელიმე მათგანი არ შეიცნობდა როსს პეროს, - "General motors"-ის ყოფილ დირექტორთა საბჭოს წევრს და კომპანიის აქციების უდიდესი პაკეტის მფლობელს. ასეთი სახით ცდილობდა პერო პოპულარობის მოხვეჭას ამომრჩეველთა შორის.

თავად ჰენრი როს პეროს ცხოვრება თავისებურად აეწყო. ჯერ კიდევ ანაპოლისის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში სწავლის პერიოდში თანაკურსელებმა იგი თავიანთ "პრეზიდენტად" აირჩიეს. რატომ და რისთვის, ეს დღესაც გაურკვეველია, რადგან იგი არც სპორტში და არც სწავლაში არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. პრეზიდენტობა პეროს ძალიან მოეწონა და გამოსაშვებ კურსზე უკვე თვითონ წამოაყენა თავისი კანდიდატურა და კვლავ გაიმარჯვა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, პერო ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტში გადიოდა სამსახურს, მაგრამ ვინაიდან სამხედრო კარიერა არ აკმაყოფილებდა, სამუშაოდ "IBM"-ის კორპორაციაში მოეწყო. რამდენიმე წლის შემდეგ პერო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპანიაში დაწინაურებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, მას კი არ უყვარდა სხვისი ბრძანებების შესრულება. 1962 წ. ჰენრი როს პერომ ისესხა 1000 დოლარი და დააარსა საკუთარი კომპანია "ELECTRONIC DATA SYSTEMS [EDS]", რომლის პრეზიდენტი და ერთადერთი თანამშრომელიც თვითონ გახდა. ამ მომენტში შეიქმნა ამერიკის საერთო ნაციონალური სამედიცინო დაზღვევის სისტემა - "Medicare & Medicaid", რომლის სიტემის ფარგლებშიც აუცილებელი იყო მონაცემების კომპიუტერული ბაზების შექმნა და დამუშავება. სწორედ "EDS"-ის კომპანიას დაევალა ამ სამუშაოთა ჩატარება. როს პერო მულტიმილიონერი გახდა, მაგრამ მისმა მოუსვენარმა ბუნებამ აქაც იჩინა თავი და 1969 წ. პერომ ამერიკის მთავრობას მიმართა თხოვნით, დაერთოთ ნება ვიეტნამის ტყვეობაში მოხვედრილი ამერიკელი ჯარისკაცების ტყვეობიდან დახსნისა. მთავრობა სიამოვნებით დათანხმდა პეროს წინადადებას და მთელი ოთხი წლის განმავლობაში პერო მხოლოდ ტყვეების გამოხსნის საქმიანობით იყო დაკავებული. ამასობაში მან მთლიანად დაივიწყა თავისი კომპანიის საქმეები, მაგრამ მთავრობა კვლავ ამარაგებდა მომგებიანი სახელმწიფო შეკვეთებით ამერიკის უდიდესი პატრიოტის კომპანიას. ვიეტნამში ომის დამთავრებას მოჰყვა ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვება და ამერიკელი მოქალაქეების დატყვევება. პერო აქაც აქტიურად ჩაება ტყვეების განთავისუფლების საქმეში. ოპერაცია განხორციელდა მისი უშუალო მონაწილეობით და საკმაოდ გახმაურებულმა ამბავმა როს პეროს პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა ამერიკელების თვალში. ამ დროს პეროს უკვე აღარ აინტერესებდა საკუთარი კომპანია და მან იგი ამერიკის უდიდეს საავტომობილო კორპორაციას "General motors"-ს მიჰყიდა. კომპანიის საზღაურად კი მიიღო ადგილი "General motors"-ის დირექტორთა საბჭოში და 3,5 მილიარდი დოლარი "GM" აქციების სახით. ასე გახდა პერო "General motors"-ის ყველაზე დიდი კერძო აქციონერი. თანაც მას იმედი ჰქონდა, რომ "General motors"-ის პრეზიდენტის პოსტს მოიხვეჭდა, მაგრამ კორპორაციამ სხვანაირად გადაწყვიტა. 1986 წ. პერომ დატოვა "General motors"-ი. თუმცა მისი აქციები ხელიდან არ გაუშვია და ორი წლის შემდეგ ჩამოაყალიბა ახალი კომპანია "Perot system". მაგრამ პერო ისე ვერ შეეგუა უბრალო კომპანიის მმართველის როლს და 1992 წელს პირველივე შესაძლებლობისთანავე ჰენრი როს პერომ აშშ-ს პრეზიდენტად გახდომა გადაწყვიტა.

პრეზიდენტად გახდომის პირველი ცდა იღბლიანი მილიონერისათვის წარუმატებელი გამოდგა. მიზეზი პოლიტიკურ სარბიელზე მისი დამარცხებისა, ალბათ პროფესიული მოუმზადებლობა იყო. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეროს საარჩევნო კომპანიაში ჩარევამ ბილ კლინტონს არჩევნებში გამარჯვება გაუადვილა. მაგრამ აი, დაიწყო არჩევნების ახალი ციკლი და პერო კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ეტყობა, პერომ გაითვალისწინა წინა არჩევნების დროს მიღებული გაკვეთილები და ამჯერად საქმეს გაცილებით პროფესიულად მიუდგა. მან საკუთარი სახსრებით ჩამოაყალიბა სრულიად ახალი - "რეფორმების პარტია". ჰენრი როს პეროს ეკუთვნის საკუთარი რადიოშოუ, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებს სარეკლამო გადაცემებს. მის მხარეზეა აგრეთვე რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტის სიმპათიები (მაგალითად, "CNN" ჟურნალისტი ლერი კინგი). ერთი სიტყვით, ამჯერად პერო საკმაოდ სერიოზულად ემზადებოდა არჩევნებში გასამარჯვებლად. რა თქმა უნდა, ეს არც ისე იოლი საქმეა, მაგრამ ვინ დაუშლის ჰენრი როს პეროს კიდევ 100 მილიონი დოლარის დახარჯვას თუნდაც იმისათვის, რომ მთელმა ამერიკამ არჩევნების პერიოდში მასზე ილაპარაკოს.

[illegible]

გაძვირდა ოქრო

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ოქროს ფასი 372 დოლარამდე გაიზარდა. ეს საკმაოდ მოულოდნელი იყო. დილერები აღნიშნავენ, რომ წლის ბოლოს კვლავ მოხდება ძვირფას ლითონებზე ფასების ტრადიციული აწევა.

აღსანიშნავია სპეციალისტების დასკვნაც. მათი განმარტებით, 1996 წლის მე-3 კვარტალში მსოფლიომ 2 პროცენტით ნაკლები ოქრო მოიხმარა 1995 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

... ალუმინიც

სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის ლითონების ბირჟაზე ალუმინის ფასმა 1537 დოლარამდე აიწია. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. პირველადი ალუმინის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მსოფლიოში ალუმინის მოპოვების ტემპები მნიშვნელოვნად იზრდება. ამან, ბუნებრივია, ლითონის გაიაფება უნდა გამოიწვიოს, რეალურად კი ფასი იზრდება. უფრო მეტიც, დილერების აზრით, ღირებულება კვლავაც მოიმატებს.

სპილენძის ფასი იმატებს

ლონდონის ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით სპილენძის ფასმა მოიმატა და 2208 დოლარს მიაღწია. მომავალში კვლავაც მოსალოდნელია იგივე ტენდენციის გაგრძელება, რადგან დილერებმა მასობრივად დაიწყეს აღნიშნული ლითონის შეძენა.

როგორც ირკვევა, ბირჟის საცავებში უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში სპილენძის მარაგი 65%-ით შემცირდა.

ნიკელის ღირებულება იკლებს

ლონდონის ლითონების ბირჟაზე ნიკელის ფასი კვლავ დაეცა და 6945 დოლარი შეადგინა.

დილერები ამას შემდეგი ფაქტით ხსნიან. მსოფლიო ნიკელის 70 პროცენტს უჟანგავი ლითონების მწარმოებლები ყიდულობენ. ახლა კი ისინი ნაკლებად აქტიურობენ და მიწოდება მოთხოვნას ბევრად აღემატება. სპეციალისტები ფასის ზრდას მაინც მოელიან, რადგან ახალი წლის შემდეგ ისინი მაქსიმალურად დატვირთავენ თავიანთ საწარმოებს.

ნავთობის ფასი ცვალებადია

იანვრის ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე გასული კვირის ბოლოს ნავთობის ფასი 23,78 დოლარზე გაჩერდა, კვირის დასაწყისში კი მხოლოდ 21,2 დოლარს შეადგენდა.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ერაყი შეთანხმდნენ, რომ ერაყი ნავთობის სანაცვლოდ მიიღებს სურსათს. ამ გარიგების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი და ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციები არსებობს. სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს საინფორმაციო ვაკუუმი იწვევს ნავთობის ღირებულების ცვალებადობას.

ვალუტის ოფიციალური კურსები

(დსთ და ბალტიისპირეთი)

რესპუბლიკა (ვალუტა)	1$	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4147.0	0	750	+10
სომხეთი (დრამი)	435.23	-0.87	78.5	-0.05
ბელორუსია (ბელ.რუბ.)	15350.0	-50	2780	-10
საქართველო (ლარი)	1.28	-0.0003	0.225	0
ყაზახეთი (თენგე)	71.5	-1.05	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	16.85	-0.05	3.0592	-0.0865
ლატვია (ლატი)	0.558	-0.004	0.1003	0
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7248	+0.0003
მოლდოვა (ლეი)	4.6767	0	0.8456	+0.0004
რუსეთი (რუბლი)	5517.0	-2	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.)	312.0	-11	56.0	0
თურქმენეთი (მანათი)	4045.0	+5	733.32	+3.58
უკრაინა (გრივნა)	1.881	-0.001	0.341	-0.001
უზბეკეთი (სუმი)	51.0	0	9.25	+0.01
ესტონეთი (კრონა)	12.4828	+0.0388	-	-

მყარი ვალუტის კურსები

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 იაპ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგული ფრანკი	5.2646	8.6676	3.9942	4.6718	3.4383	3.3788	-
გერმანული მარკა	1.5581	2.5653	1.1822	1.3827	1.0176	-	0.2960
იტალიური ლირა	1531.2	2520.9	1161.7	1358.8	-	982.69	290.85
იაპონური იენა	112.69	185.53	85.498	-	73.597	72.323	21.405
შვეიცარ. ფრანკი	1.3180	2.1700	-	1.1696	0.8608	0.8459	0.2504
ინგლისური გირვ.	0.6074	-	0.4608	0.5390	0.3967	0.3898	0.1154
აშშ დოლარი	-	1.6464	0.7587	0.8874	0.6531	0.6418	0.1900

ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

ოქრო ($ უნც)	372.50	ნავთობი ($ ბარელი)	23.78
ალუმინი ($ ტ)	1537.0	ხორბალი (ინგ.გირვ. ტ)	96.25
სპილენძი ($ ტ)	2208		
ნიკელი ($ ტ)	6945	თეთრი შაქარი ($ ტ)	297.70

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიის თასის მოგებას აპირებენ

აზიის თასის გათამაშებაში 12 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ერთადერთი უზბეკეთი მონაწილეობს ამ გათამაშებაში და სერიოზული მიზნებიც აქვს - თასის მოგებას აპირებს. მიზანი მაინცდამაინც განუხორციელებელი არ ჩანს. უზბეკეთის ნაკრებს მოგებული აქვს 1994 წლის აზიური თამაშები.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის განცხადებით, გუნდი კარგად არის მომზადებული. მან სწორედ აზიური ფეხბურთის კლასის გუნდებთან ჩაატარა რამდენიმე საწვრთნელი მატჩი და რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვა. უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს პირველობის პრეტენდენტებად უზბეკეთთან ერთად წინა წლის თასის მფლობელები და ჩინელები მიაჩნიათ.

შეგახსენებთ, რომ ზემოთდასახელებული ქვეყნების გარდა, აზიის ფეხბურთში ერთმანეთს ეცილებიან არაბთა საემირატოს, კუვეიტის, კორეის, ინდონეზიის, საუდის არაბეთის, ირანის, ერაყის, ტაილანდის, სირიის ნაკრები გუნდები.

სხვათაშორის ირანისა და ერაყის გუნდები ერთ ჯგუფში არიან გაერთიანებული და გათამაშების ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ეს გარკვეულ წვლილს შეიტანს ორი მტრულად განწყობილი ქვეყნის დაახლოებაში.

ფეხბურთს დიდი ძალა აქვს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ამჯერად მისთვის დაკისრებული რთული მისიის შესრულება შეძლოს.

ნაგანოს ოლიმპიადისათვის ემზადებიან

1998 წლის ზამთრის ოლიმპიადამდე კიდევ დიდი დრო დარჩა, მაგრამ ჩემპიონებისა და პრიზიორების დასაჯილდოებელი მედლების პრეზენტაცია ნაგანოში უკვე მოეწყო.

წინა ოლიმპიადებზე მედლებს სხვადასხვა მინერალებისგან ამზადებდნენ. მაგალითად, 1992 წელს ალბერვილში მედლები მთის ბროლისაგან დაამზადეს, შემდეგ ლილეჰამერში - გრანიტისაგან.

იაპონელებს ბევრი არ უფიქრიათ, ტრადიცია აღადგინეს და მედლები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დაამზადეს.

არჩევანი მე, არადანი - შენ

კინაღამ ერთმანეთი დახოცეს

ლილეჰამერის ზამთრის თამაშების ჩემპიონი უკრაინელი მოციგურავე ოქსანა ბაიული ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბარს ეწვია საღამოს გასატარებლად. მას თან ახლდა მეგობარი ქალი, ყოფილი "მის-სსრკ" იულია სუხანოვა. ბარში ორი ქალბატონის ვიზიტი დიდი ხმაურით დამთავრდა და საქმეში ბარის დაცვის ჩარევაც გახდა საჭირო.

საქმე ის არის, რომ ამ ვიზიტის დროს ბარში ადგილობრივი ფეხბურთელებიც იმყოფებოდნენ. როგორც ამბობენ, ერთ-ერთმა მათგანმა ბაიულთან ცეკვა მოინდომა. მიწვევაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა უხეშად უპასუხა და „ატყდა მუშტი-კრივი, რის შემდეგ ფეხბურთელებს ბარი ძალით დაატოვებინეს.

თუ სურათს დავუჯერებთ, მაშინ ასეთი მშვენიერი ქალბატონისთვის კი ღირდა ერთი-ორი ცხვირის გატეხვა.

ევროპის ყველა ვარსკვლავის...

მატჩში, რომელიც 30 დეკემბერს გაიმართება, ერთმანეთს შეერკინებიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ნაკრები გუნდები. ეს ასეთი ხასიათის პირველი მატჩი იქნება ევროპის კალათბურთის ისტორიაში.

საინტერესოა ისიც, რომ ამ დონის მატჩი იმართება სტამბულში, რაც სულაც არ არის შემთხვევითი. ამ ბოლო დროს თურქეთის საკალათბურთო გუნდები შესამჩნევად მომძლავრდნენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური კეთილდღეობის ამაღლების შედეგია. შეძლებული კლუბები უკვე აბერხებენ უცხოელი მოთამაშეების, განსაკუთრებით ამერიკელების გადაბირებას, რომელთა საკალათბურთო ავტორიტეტი ეჭვს არასოდეს იწვევდა.

უკვე ცნობილია გუნდების შემადგენლობა.

აღმოსავლეთის გუნდში ითამაშებენ: მცველები - ორხუნ ენე (თურქეთი, "ულკერი"), პეტარ ნაიმოსკი (თურქეთი, "ეფეს პილსენი"), სერგეი ბაზარევიჩი (რუსეთი, "ცსკა"), იურე ზდოვეცი (სლოვენია, "ირაკლისი"), დევიდ რივერსი (აშშ, "ოლიმპიაკოსი"), გეორგოს სიგალასი (საბერძნეთი, "ოლიმპიაკოსი"); თავდამსხმელები - იბრაგიმ ქუთულაი (თურქეთი, "ფენერბახჩე"), ევგენი კისურინი (რუსეთი, "ციბონა"); ცენტრალური თავდამსხმელები - პანაიოტის ფასულასი, დრაჟენ ტარლავი (ორივე საბერძნეთი, "ოლიმპიაკოსი"), რენდი უპტი (აშშ, "შაკაბი").

დასავლეთის გუნდის ღირსებას დაიცავენ: მცველები - დელანი რადი (აშშ, "ვილერბანი"), ანტუან რიგოდო (საფრანგეთი, "პორტეზი"), კარლტონ მაიერსი (იტალია, "ტიმსისტემი"), საშა ობრადოვიჩი (იუგოსლავია, "ალბა"), რონი ბაიერი (ბელგია, "სუნაირი"); თავდამსხმელები - იან ბონატო (საფრანგეთი, "ლიმოჟი"), ჰენინგ პარნიში (გერმანია, "ალბა"), რიშარდ დაკური (საფრანგეთი, "პსუ-რესინგი"); ცენტრალური თავდამსხმელები - ჟელკო რებრაჩა (იუგოსლავია, "ბენეტონი"), სტეფანო რუსკონი (იტალია, "ბენეტონი"), ზორან სავიჩი (იუგოსლავია, "კინდერი"), კონკრად მაკრეი (აშშ, "ტიმსისტემი").

თბილისის "ვითას" გამანადგურებელი თურქეთის "ფთთ"-დან ნაკრების შემადგენლობაში არც ერთი კალათბურთელი არ არის შეყვანილი.

აღმოსავლეთის ნაკრებს მოამზადებს ლოლო საინსი (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი), დასავლეთისას - დუშან ივკოვიჩი (იუგოსლავიელი, საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი).

კროსვორდი



თარაზულად: 3. დიდი კურაპალატი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი. 8. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში. 9. ინგლისელი ბიოქიმიკოსი. 10. სახელმწიფო აზიაში. 12. ალენ დელონის გმირი ერთ-ერთ კინოფილმში. 13. ნარნარი ფრენა. 15. პირის ღრუს ზედა, თავისებრი ნაწილი. 18. ჭადრაკში - მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა, როდესაც ეტლს დასვამენ მეფის გვერდით, ხოლო მეფე გადადის ეტლის მეორე მხარეს. 19. სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი პირის ღრუს გაჯანსაღების მიზნით. 21. ძველი ქალაქი კილიკიაში. 22. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 24. სამგიეროს გადახდა, მიზღვა, ბრძოლაში ან შეჯიბრებაში დამარცხებისათვის. 26. საგნებსა და მოვლენათა შორის არსებული მუდმივი და აუცილებელი კავშირი. 27. ქალაქი ბელორუსიაში. 31. სახის გამომეტყველება; შესახედაობა; გარეგნობა. 33. ყვითელყვავილებიანი ბუჩქი, შხამიანი მათრობელა მცენარე, იზრდება ტყის პირად. 35. კუნძული, სადაც დამარცხებული იმპერატორი ბონაპარტე გადაასახლეს. 37. ძაღლის მოსაფერებელი სახელი. 39. საექიმო ხელსაწყო წვრილი მილის ან ღარის სახისა ადამიანის შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევად თუ სამკურნალოდ. 41. დიდი საზღვაო გემი. 42. სამარხი ნაგებობა. 43. ადამიანთა მოდგმის წინაპრის ცოლი. 44. ცხენებით სატარებელი მსუბუქი ოთხთვალა. 47. ერთგვაროვანი ნივთიერების მასა, ზოლად გაშლილი სხვა ნივთიერებათა შორის და მათგან განსხვავებული, - შრე. 48. საერთაშორისო ხელშეკრულება რაიმე სპეციალურ საკითხებზე.

შვეულად: 1. სამხაზველო ხელსაწყო, რომელსაც აქვს ორი ფეხი ერომანეთთან სახსრით შეერთებული. 2. მიწაში ამოთხრილი, ამოღრმავებული ადგილი. 4. ვაზის ან სხვა ხვიარა მცენარის გამონაზარდი რქა. 5. გეოგრაფიული ლანდშაფტის შემადგენელი ნაწილი იმ მცენარეებისა, ცხოველებისა და მიკროორგანიზმებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. 6. ერთხმოვანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანიმენტით, ჩვეულებრივ ოპერაში. 7. თვალსაზრისი, რომლითაც განიხილება ესა თუ ის საგანი, მოვლენა, ცნება. 10. ერთად შეკრული ყვავილი ან მწვანილი, წკეპლები და მისთ. 11. ქართული ლიტერატურული ჟურნალი საუკუნის დასაწყისში. 12. ქალაქი უკრაინაში. 14.სტომატოლოგიის ნაწილი. 17. წონასწორობა, გაწონასწორება. 19. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. 20. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი. 23. ძველი ფართობის საზომი ერთეული. 25. ზოგი მცენარის საჭმელადვარგისი ნაყოფი (ჩვეულებრივ ტკბილი და წვნიანი). 29. ჭერის გასალამაზებელი ქსოვილისაგან დამზადებული ერთგვარი თეთრი საგანი. 30. ერთგვარი აპარატი, ინფორმაციის მიმღები და გადამცემი. 32. ბადრაგი, დაცვა. 34. ზღვის თევზი სტავრიდასებრთა ოჯახისა. 36. ძვირფასი ქვა (თვალი) წითელი ფერისა. 38. ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვებით ამოძრავებს სისხლს (ადამიანს მოთავსებული აქვს გულმკერდის ღრუს მარცხენა მხარეს). 40 ფრანგი ინჟინერი და მეცნიერი, საფრანგეთის მეცნიერების აკადემიის წევრი. 45. ნაწილაკი, რომელიც გამოხატავს დასტურს, თანხმობას (ახლობლებს შორის). 56. ბერძნული ანბანის ასო, რომლითაც აღინიშნება ირაციონალური რიცხვი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. სპირიტიზმი. 7. დოსიე. 8. ოსირი. 9. აზარტი. 10. კოვბოი. 13. მინტაი. 15. ლუდოვიკო. 16. მილერი. 17. რანტიე. 19. კანიბალი. 20. წეკო. 21. არია. 22. იო. 24. ნიბლია. 27. დო. 28. ილირია. 30. მარილი. 32. მერანი. 33. ბანაკრი. 35. რომარიო. 38. ბერიკა. 40.კობალტი. 41. ნანტესი. 42. ალმასი. 46. ტუკი. 47. რემა. 49. რეა. 50. აკრი. 51. ბუ. 52. პო. 53. ია.

შვეულად: 1. ბოლოკი. 2. სეკო. 3. რეზიდენტი. 4. ინტრიგანი. 5. იოგი. 6. არმაზი. 11. ბრემენი. 12. ილიკო. 14. ნანკინი. 16. მითი. 18. ერდო. 23. ონინი. 24. ნამიბია. 25. ლიანი. 26. ამირანი. 27. დიდი. 29. რიკული. 31. რომენი. 33. ბუკლეტი. 34. ნაბისკო. 36. რაევსკი. 37. ოლიმპია. 39. რამპა. 43. სორო. 44. ყრუ. 45. ჩაი.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„მესაკუთრე“ რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ერცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.12.96წ.

მესაქვითრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში“ მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო
კოლეგია